# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.766)

4-11 თებერვალი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## 2017 წლის მეორე ნახევრიდან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდება

გვ.3




## ევროპარლამენტმა საქართველოს



გვ.2

## ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა



გვ.2

## შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან

## „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“



გვ.4

## კიბო სასიკვდილო განაჩენი აღარ არის

გვ.6

## დედოფლისწყარო, მეტეოსადგური და მოსავალი

გვ.3





სიახლეების გაგება, დანერგვა და გამოცდილების გაზიარება, ესაა სოფლის მეურნის წარმატების გასაღები...

გვ.5-7


## „კახეთის საათი“

„ობიექტივზე“

ახალი დროით

კვირა 12:30


C M Y K

# ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა




ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა. საქართველოს საკითხს ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე კენჭი რამდენიმე წუთის წინ ეყარა. საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას მხარი ევროპარლამენტის 553-მა წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი 66 წავიდა, 28 დეპუტატმა კი თავი შეიკავა.

საქართველოს საკითხზე კენჭისყრას წინ უძღვოდა ევროპარლამენტარებს შორის დებატები.

დღევანდელი გადაწყვეტილება საქართველოსთვის შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმის ავტომატურად ამოქმედებას არ ნიშნავს. დარჩენილია ცალკეული ტექნიკური პროცედურები.

# თამარ ხულორდავა - ეს დღე არის ისტორიული

დღევანდელი დღე არის ისტორიული, უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი და ჩვენი თაობის მთავარი მიზანი, - ამის შესახებ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, თამარ ხულორდავას განცხადებაშია ნათქვამი.

მისი განცხადებით, ევროპარლამენტში დღეს ჩატარებული კენჭისყრა იმას ნიშნავს, რომ დასკვნითი პროცედურების დასრულებისთანავე (ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ხელმოწერა და მინისტრთა საბჭოს დასტური) საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილებას, აღნიშნული რეჟიმი კი მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს ვიზის გარეშე, მოკლე ვადით (90 დღით) გაემგზავრონ ევროპაში.

"ვულოცავთ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე მიღწეულ ამ დიდ წარმატებას, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლივი უდიდესი შრომის, ძალისხმევისა და მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შედეგია.

ევროკავშირი მუდმივად ადასტურებს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ყველა სფეროში მდგრადი და ეფექტურია. (VLAP-ის იმპლემენტაციის პროცესში განხორციელდა ევროკავშირის 22 შემფასებელი მისია VLAP-ით განსაზღვრული 13 მიმართულებით და გამოქვეყნდა ევროკომისიის 4 შეფასებითი ანგარიში.) ეს შეფასებები ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და სახელმწიფო ინსტიტუტებმა დიდი ძალისხმევა გასწიეს და უვიზო მიმოსვლის მოთხოვნების შესრულება უპირველეს ეროვნულ პრიორიტეტად აქციეს.

ჩვენ მართლაც რომ შთამბეჭდავ პროგრესს მივაღწიეთ ბევრი მიმართულებით. განხორციელდა რეფორმები საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, გეგმით განსაზღვრულ სფეროებში ოთხი მიმართულებით განვითარდა ორგანიზაციული პრინციპები და შეიქმნა ახალი პროცედურები. მათ შორის, ქვეყანაში გავაუმჯობესეთ დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფრის პოლიტიკა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (ორგანიზებული დანაშაულის კორუფციის, ტრეფიკინგის, ნარკოტიკების, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლებრივი თანამშრომლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

დემოკრატიული რეფორმების კონსოლიდაციამ და უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების გატარებამ კანონის უზენაესობის, მართლმსაჯულებისა და ადამიანის თავისუფლების დაცვით მიმართულებით ახალი რეალობა შექმნა ქვეყანაში, რეალობა, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას გზა გაუხსნა ევროპასთან და ევროპული სტანდარტების სარგებელს უზიარებს. ამ გზაზე თითოეული ღონისძიება ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობის გაზრდას ემსახურება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას რათა პარლამენტმა უკეთესად შეასრულოს თავისი მთავარი ინსტიტუციური როლი, როგორც ხიდმა ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

საქართველოს პარლამენტის სახელით მადლობას ვუხდით აღმასრულებელ ხელისუფლებას, ყველა სტრუქტურას, თითოეულ ადამიანს ვიზა ლიბერალიზაციის მისაღებად შესრულებული სამუშაოსთვის.

ასევე მადლობას ვუხდით ევროპელ კოლეგებს გაწეული დახმარებისთვის და საქართველოს მიერ შესრულებული სამუშაოების სათანადოდ შეფასებისთვის.

დღევანდელი დღე არის ისტორიული, საქართველოს ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი დაბრუნებისაკენ უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი, ჩვენი თაობის მთავარი მიზანი, ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგი, ჩვენი და ჩვენი შვილები ღირსეული მომავლის წინაპირობა", - ნათქვამია ხულორდავას განცხადებაში.

# შეხვედრა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებთან

3 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილსა და ადგილობრივი თვითმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ქ.სიღნაღის იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს - ბიუროს უფროსს თამაზ გურაშვილს, კონსულტანტ გიორგი შერმადინსა და ადვოკატ ბექა ჯავახიშვილს შეხვდა. სამუშაო შეხვედრა გაცნობითი ხასიათისა იყო, იგი ქ.დედოფლისწყაროს ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა. გაცნობებთ, რომ სიღნაღის იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დავები; მემკვიდრეობის სამართლიდან გამომდინარე დავები; სოციალური დახმარება და პენსია; დევნილთა უფლებები; ჯანმრთელობის დაცვა და პაციენტთა უფლებები. პირი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარებით, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი, ან ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე თავად ვერ გასწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშრებულ ხარჯებს.

# 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება სრულად აიკრძალა

სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 18 წლამდე მიუღწეველი პირები ვეღარ დაქორწინდებიან. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი, თექვსმეტ წლამდე ასაკის პირთან, 7-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ახალი საკანონმდებლო ნორმა ძალაში 1-ლი იანვრიდან შევიდა.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით საქორწინო ასაკი განსაზღვრულია 18 წლით. ამასთან, გათვალისწინებული იყო 16 წლის ასაკს მიღწეული პირების ქორწინება მათი მშობლების თანხმობით. 2016 წლის 1 იანვრიდან მოქმედებდა გარდამავალი (დროებითი) ნორმა (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1507.3), რომლის თანახმად, გამონაკლისის სახით დაიშვებოდა 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება - მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ბავშვის დაბადება.

# იანვარში ქართული ღვინის ექსპორტი 184%-ით გაიზარდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარში, საქართველოდან მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4 322 733 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 184%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 8.8 მილიონი დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 141%-ითმეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

იანვრის თვეში ექსპორტის მატება დაფიქსირდა ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ს და ასევე ტრადიციული საექსპორტო ბაზრების მიმართულებით. 2016 წელი წარმატებული აღმოჩნდა ქართული ღვინის ექსპორტისთვის - ზრდამ 2015 წელთან შედარებით 40%-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ქართული ღვინის ექსპორტი წლის დასაწყისიდანვე აქტიურად დაიწყო და იმედი გვაქვს, რომ ღვინის სექტორთან ერთად დაგეგმილი მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, ექსპორტის ზრდის ტენდენცია წლის ბოლომდე შენარჩუნდება ყველა მიმართულებით.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი (2 861 471 ბოთლი), უკრაინა (402 858), ჩინეთი (372 440), პოლონეთი (156 302) და ყაზახეთი (106 284).

ღვინის ექსპორტის ზრდა წლის დასაწყისისთვის ძირითად საექსპორტო ქვეყნებში ასეთია: ჩინეთი - 725% (372 440); ესტონეთი - 250% (48 432); რუსეთი - 198% (2 861471); ყირგიზეთი - 186% (38 700); ყაზახეთი - 164% (106 284); დიდი ბრიტანეთი 113% (14 328); უკრაინა - 102% (402 858); აშშ - 100% (32 940); ლატვია - 84% (61 128); პოლონეთი - 37% (156 302); ლიტვა - 21% (54 228).

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 8 ქვეყანაში ექსპორტირებულია 896 986 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 59%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 2,25 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - ზრდამ 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 49% შეადგინა.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 21,7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2016 წლის იანვარში ეს მაჩვენებელი 6,6 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა - ზრდამ 229% შეადგინა.

# პატრიარქი სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გერმანიაში გაემგზავრა. პატრიარქი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააცილა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარისას საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ცისანა შარტავამ აღნიშნა, გერმანიაში უწმინდესის გამგზავრება ისედაც დაგეგმილი იყო, თუმცა სამი დღის წინ „ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გამოვლენილმა ეპიზოდმა" გადაწყვეტილების მიღება დააჩქარა. არ არის გამორიცხული გერმანიაში პატრიარქს ქირურგიული ჩარევაც დასჭირდეს.

"პატრიარქის თვითგრძნობა დამაკმაყოფილებელია. შეიძლება ითქვას კარგია. ექიმის ენით რომ ვთქვათ, მას ჩივილები არ აქვს, მაგრამ სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ იმყოფება. დეკემბერში განვითარებული მოვლენების ფონზე გამოიკვეთა ნაღველკენჭოვანი დაავადება და ნაღვლის ბუშტის ანთება. მაშინ ყველაფერი სასიკეთოდ ჩათავდა, მაგრამ სამი დღის წინ იყო ხანმოკლე ტემპერატურული რეაქციის ეპიზოდი. მას თვითშეგრძნების მხრივ სხვა არაფერი ჰქონდა, მაგრამ ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ნაღვლის ბუშტის ანთებითი პროცესი გამწვავდა და მოსალოდნელია შემდგომი გართულება, ამიტომ სპეციალისტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ გამოკვლევა, დაკვირვება და სავარაუდო სამედიცინო ჩარევა, რომელიც შესაძლოა ქირურგიულიც იყოს, მოხდეს არა აქ, არამედ გერმანიაში, იმ კლინიკაში, სადაც მას ადრეც ელოდებოდნენ", - განაცხადა ცისანა შარტავამ.

მისივე ინფორმაციით, პატრიარქის ბერლინში დაყოვნების დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ჩარევა დასჭირდება უწმინდესს. სრულიად საქრათველოს კათოლიკოსს-პატრიარქს თან გაყვა ცისანა შარტავა და კარდიოლოგი შალვა პეტრიაშვილი.

# ავსტრიაში საზოგადო ადგილებში ჩადრის ტარება აიკრძალა

ავსტრიის სამთავრობო კოალიციამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, აეკრძალა სკოლებში, სასამართლოებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში სახის ჩადრით მთლიანად დაფარვა. ახალი განკარგულება იმ რეფორმის ნაწილია, რომელიც ქვეყანაში ულტრამემარჯვენე ძალების წინააღმდეგაა მიმართული.

შეთანხმება მმართველმა კოალიციამ - სოციალ დემოკრატებმა და ცენტრისტულმა სახალხო პარტიამ ერთობლივად მიიღეს, რომლებიც ნაციონალურ საბჭოში უმრავლესობას წარმოადგენენ. ავსტრიის კანცლერ ქრისტიან კერნს ამით სურს დაიბრუნოს პოლიტიკური ინიციატივა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ.

# პარიზში ჯარისკაცმა შეიარაღებული პირი დაჭრა, რომელიც ლუვრში შეჭრას ცდილობდა

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის პოლიციის უფროსის, მიშელ კადოს განცხადებით, ჯარისკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მაჩეტეთი შეიარაღებული მამაკაცი, რომელიც ლუვრის მუზეუმში შეჭრას ცდილობდა შეძახილით „ალაჰ აქბარ".

მიშელ კადოს თქმით, ჯარისკაცმა ხუთჯერ გაისროლა და მძიმედ დაჭრა სავარაუდო თავდამსხმელი. თვითონ ჯარისკაცი მსუბუქადაა დაჭრილი. პარიზის პოლიციის უფროსის ინფორმაციით, ეჭვმიტანილს თან ჰქონდა ორი ზურგჩანთა, რომელშიც როგორც მოგვიანებით გაირკვა, არ იყო ასაფეთქებელი მოწყობილობები.

ვარაუდობენ, რომ ეჭვმიტანილი მარტო მოქმედებდა, მაგრამ პოლიციის ცნობით, დაკავებულია კიდევ ერთი ადამიანი საეჭვო ქცევის გამო.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო „ტვიტერით" გავრცელებულ ცნობაში მომხდარს სერიოზულ ინციდენტს უწოდებს. ლუვრის პრესმდივნის განცხადებით, მუზეუმი დროებით დაიხურა.

# 2017 წლის მეორე ნახევრიდან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდება

როდიდან და რა ფორმით ჩაერთვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მედიკამენტების კომპონენტი, — ამ საკითხზე განმარტებების მისაღებად პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, აკაკი ზოიძეს, დავუკავშირდით.

აკაკი ზოიძის ინფორმაციით, იგეგმება საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის მეორე ეტაპი.

„პირველი ტალღის რეფორმების არსი ფინანსური ბარიერების მოხსნა, ადამიანებისთვის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და გაღარიბებისგან დაცვა იყო, — ამბობს აკაკი ზოიძე, — საყოველთაო ჯანდაცვამ ათასობით ადამიანი სიკვდილისგან და ზოგ შემთხვევაში ჯანმრთელობის შეუქცევადი დაზიანებისგან იხსნა.

რეფორმის შემდგომი ეტაპია, რომ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები ხელმისაწვდომი გახდეს.

მზადდება რეფორმა, რომ პირველ ეტაპზე ქრონიკული არტერიული წნევითა და შაქრიანი დიაბეტის დროს ტაბლეტების მიმღები უმწეო პენსიონერებისთვის მედიკამენტები უფასოდ გაიცეს.



ეს ისეთივე მექანიზმით მოხდება, როგორც ინსულინის გაცემის შემთხვევაშია. ვფიქრობთ, ეს საკმაოდ ბევრი ადამიანისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება.“

აკაკი ზოიძე ამბობს, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა 2017 წლის მეორე ნახევრიდან იგეგმება.

შემდგომში კი ეტაპობრივად სამასამდე დასახელების წამალი აფთიაქებიდან ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება.

„ამ პროგრამისთვის ტექნიკური სამუშაოებია ჩასატარებელი, — განმარტავს აკაკი ზოიძე, — მნიშვნელოვანია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც გამოთავისუფლებულ თანხებს მედიკამენტების დაფინანსებისკენ მივმართავთ.“

აკაკი ზოიძე გვიყვება, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება აუცილებელია.

„ამ კუთხით დაგეგმილი რეფორმების მიხედვით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მხოლოდ ის კლინიკები ჩაერთვებიან, რომლებიც პაციენტებს უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას მიაწოდებენ, სადაც იქნება უფრო კვალიფიციური მედპერსონალი და უკეთესი აპარატურა, — ამბობს აკაკი ზოიძე, — ეს კრიტერიუმები შესაბამისი ინდიკატორებით გაიზომება.“

აკაკი ზოიძე საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის მესამე მნიშვნელოვანი გამოწვევის შესახებ გვიყვება და ამბობს, რომ პროგრამა ხელმისაწვდომი გახდება იმ პირებისთვისაც, რომლებიც კერძო დაზღვევით სარგებლობდნენ.

„2013 წლის შემდეგ მილიონ ორმოცი ათასი ადამიანი, იმის გამო, რომ შეიცვალა ან დაკარგა სამსახური, ველარ სარგებლობს კერძო დაზღვევით და ხელი არც საყოველთაო დაზღვევაზე მიუწვდება, — ამბობს აკაკი ზოიძე, — ეს პრობლემა სხვა მიდგომით უნდა მოგვარდეს. უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები — ქონებრივი ან შემოსავლის ცენზი და ამის მიხედვით გადაწყდეს, — შედარებით შეძლებულმა ადამიანებმა თანხა გაიღონ საკუთარი ჯანმრთელობის დაფინანსებაზე, ხოლო ღარიბების სამედიცინო მომსახურება სრულად აანაზღაუროს სახელმწიფომ. უნდა ვისჯელოთ ამის თაობაზე, — სად გაევლოს ეს ზღვარი, რა უნდა ჩავთვალოთ შედარებით მაღალ შემოსავლად.“

# დედოფლისწყარო, მეტეოსადგური და მოსავალი



გასულ კვირას გარემოსდაცვით საკითხებზე დედოფლისწყაროში გამართულ შეხვედრას დავესწარი, ამის შესახებ ვრცელი მასალა წინა ნომერში უკვე შემოგთავაზეთ. იქვე გამოიკვეთა ამინდის პროგნოზის მნიშვნელობა და მისი როლი დედოფლისწყაროელი ფერმერების საქმიანობაში. მას შემდეგ გამახსენდა, რომ პირველი, რაც ბავშვობაში ტელევიზორიდან გავიგე, სწორედ ამინდის პროგნოზი იყო. ძველ თაობას კარგად ემახსოვრება, იმხანად ერთადერთი ქართულენოვანი სახელმწიფო ტელევიზია შირაქისა და ელდარის საძოვრებს ხშირად ახსენებდა. უფრო კონკრეტულად კი ამინდის პროგნოზში აცხადებდა. იმ დროს არ მესმოდა რატომ, მაგრამ მშობლები და ახლობლები მარწმუნებდნენ, რომ იქ ვცხოვრობთ და ჩვენი რაიონი იგულისხმებოდა. ამიტომაც, კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში შირაქის და ელდრის საძოვრებზე მოსალოდნელი ამინდის პროგნოზის გამოცხადებას ყოველთვის გულისყურით ელოდნენ. ვერ გეტყვით ტელევიზიის მიმართ სიყვარულს მაშინ რამდენად მძაფრად ვგრძნობდი, მაგრამ ის კი ზუსტად მახსოვს, რომ პირდაპირ ეთერში ნებისმიერ კონტექსტში გაჟღერებული დედოფლისწყარო პატარაობიდანვე ძალიან მაბედნიერებდა.

შემდეგ, როცა დამოუკიდებელი ტელეკომპანიები და შედარებით რეფორმირებული მაუწყებლობა მივიღეთ, დედოფლისწყაროს ხსენება ამინდის პროგნოზიდანაც ამოიღეს. მიზეზად ისიც სახელდებოდა, რომ ადგილზე მოიშალა მეტეო-სადგურები და მონაცემების წინასწარ პროგნოზირება ვერ ხდებოდა. თელავს აქეთ მაუწყებლებს აღარავინ ახსოვდა. ერთხანს, მცირე ხნით საინფორმაციო პროგრამა „მოამბემ“ დაამატა, თუმცა მალევე სიღნაღის რეაბილიტაცია მოხდა, ყველა ტელეკომპანია ერთ ხმაში ამღერდა, მოდას აჰყვა და პროგნოზში ამჯერად უკვე სიღნაღი შეიტანეს. მათი აზრით, გაცილებით პოპულარულად ჟღერდა. მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღიც ქიზიყია, ამის გამო დედოფლისწყაროელებს დღემდე აქვთ გულისწყრომა.

რაც „ობიექტივზე“ ტელეგადაცემების მომზადება დავიწყე, მას შემდეგ წამდაუწუმ მესმის, „აქამდე დედოფლისწყაროს მხოლოდ ამინდის პროგნოზში ახსენებდნენ, შემდეგ იქიდანც ამოიღეს, რა კარგია, რომ ადგილობრივი გადაცემები დაგვეთმოო“. ყველასგან მივიწყებული მხარე ხშირად რომ შუქდება, უხარიათ და ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია. აშკარაა, რომ მივიწყებული რაიონის იმიჯის მსხვრევა დედოფლისწყარომ ძირითადად ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო. მიხარია, რომ მომრავლდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

უნდა ვაღიაროთ, თანამედროვე ტექნოლოგიების ხანაში, ციფრული ტექნოლოგიების აღზევებამ მოიტანა ისიც, რომ ამინდის პროგნოზი უკვე მობილური ტელეფონების ეკრანებზეა გამოსახული და ეკრანის გახსნისთანავე შეგიძლია ნახო რა ტემპერატურა და ამინდია, როგორც ამ წუთებში, ისე მომავალ დღეებში. ეს კი ფუფუნების საგნად სულაც აღარ ითვლება და ამაზე ხელი ყველას მიუწვდება, ვისაც თანამედროვე ტელეფონი აქვს. ესეც რომ არა, ინტერნეტშიც, თითქმის ყველა საიტზეა განთავსებული უახლოესი ათი დღის ამინდის პროგნოზი. ამ ფონზე, ადგილობრივი ფერმერებისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება პროგნოზის სათანადოდ განსაზღვრა და მისი ეფექტური გავრცელება.

მართალია, ინტერნეტში ხელმისაწვდომი ამინდის პროგნოზი ძირითადად უცხოური საიტების მიერაა გამოთვლილი და გავრცელებული, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამართლებს. ამას მოწმობს გაზეთ „შირაქის“ ბოლო გვერდზე განთავსებული ყოველკვირეული პროგნოზის გრაფა, ვინც მას თვალყურს ადევნებს, დაგვეთანხმება, რომ მონაცემები საიმედოა და ძირითადად ემთხვევა.

დედოფლისწყაროელი ფერმერები კი მიანიშნებენ, რომ, მართალია, დედოფლისწყაროს პროგნოზი ხშირად ამართლებს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი რაიონი ფართობით ერთერთი ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია. ამიტომაც ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალაქ დედოფლისწყაროში სულ სხვა ამინდია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში – სხვა. იმისათვის, რომ ზუსტად განსაზღვრონ მიწათმოქმედებისთვის აუცილებელი სეზონური ტექნიკური პროცედურები, საჭიროა ზუსტად იცოდნენ მოსალოდნელი დარის, თუ ავდარის შესახებ. სწორად დაგეგმილი ღონისძიებები კი მოსავლიანობის ეფექტურობას კიდევ უფრო გაზრდის.

ძველად დედოფლისწყაროს რაიონში რამდენიმე მეტეო-სადგური რომ იდგა, უფროს თაობას ესეც კარგად ახსოვს. შემდეგ ყველაფერი რომ ერთიანად მოვშალეთ და ყველაფერი საკუთარი ხელით გავაპარტახეთ, ესეც არახალია. ბოლო წლებში გარემოს დაცვის სამინისტრომ ამ კუთხით საკმაოდ ეფექტური სამუშაო გასწია. სამინისტროს შემადგენლობაში ცალკე უწყებები მოქმედებს, რომლებიც თემატურად, კონკრეტული მიმართულებებით მუშაობენ.

სამინისტროში არსებობს სტრუქტურული ერთეულები: გარემოს ეროვნული სააგენტო; ჰიდრომეტეოროლოგიისა და პროგნოზირების დეპარტამენტი; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტო; დაცული ტერიტორიების სააგენტო; ეროვნული სატყეო სააგენტო და ა.შ. მათი უმრავლესობა ეფექტურად მუშაობს. ბოლო წლებში პირველად აღდგა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლების კვლევის საკითხი. 2014 წლის 13 ივნისს ვერეს ხეობაში მომხდარი მასშტაბური სტიქიის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ისეთი აპარატურის მონტაჟის საკითხი, რომელიც ამგვარი საფრთხეების გარკვეულ პრევენციას მოახდენს და წინასწარ განგაშის სიგნალს გაგზავნის მოსალოდნელი ღვარცოფის თუ მეწყერის შემთხვევაში. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატია აცხადებს, ამგვარი თანამედროვე აპარატურა ვერეს ხეობასა და დევდორაკი-ამალის მყინვარზე უკვე დამონტაჟებულია და შესაბამისი ინფორმაცია სპეციალისტებისთვის ყოველდღიურ რეჟიმში ხელმისაწვდომია. ამგვარი მინი სადგურების მონტაჟი სხვა საფრთხის შემცველ ხეობებშიც გაგრძელდება, რაც კატასტროფების რისკს მნიშვნელოვნად შეამცირებს და მსხვერპლის აცილების შესაძლებლობას იძლევა.

გარემოს ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ მომავალში რეფორმები ამინდის პროგნოზირების კუთხითაც გაგრძელდება. იმედი დავიტოვოთ, რომ ტექნიკის განვითარებასთან ერთად ამინდის პროგნოზირების საშუალება დედოფლისწყაროს სავარგულებშიც გახდება შესაძლებელი, მით უფრო, რომ ორი მინი მეტეო სადგური უკვე ამუშავდა.

ილია მარტყოფლიშვილი



# „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეებს“

ცოტა ხნის წინ ფეისბუქზე ერთმა ქალბატონმა ადრინდელი სკოლის ფორმის ფოტო დადო და დააწერა: ჩემი ბედნიერი ბავშვობა! სურათის დანახვისას მეც გული ამიჩუყდა, სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა და თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობის და მოსწავლეობის ხანა. მახსოვს, როგორი ნატვრით შევყურებდი უბნის უფროს გოგონებს, რომლებიც დილით, სკოლაში მიმავლები, მხიარული სიცილ-კისკისით გუნდად აივლიდნენ ჩვენს ჭიშკართან სასკოლო ფორმის კაბებში გამოწყობილები. ერთი სული მქონდა, როდის გავხდებოდი 7 წლის (მაშინ პირველ კლასში 7 წელზე ადრე არ იღებდნენ, ახლა 5 წლისები მერხზე სხედან და არ ვიცი, ეს პროგრესია თუ რეგრესი მათი ჯანმრთელობის კუთხით) და ფორმის კაბას მეც ჩავიცმევდი. როცა ასაკი მომივიდა, სასექტემბროდ დედამ (მას კერვა კარგად შეეძლო) შტამბოვკის ყაფისფერი დაფოთლილი კაბა და შავი წინსაფარი შემიკერა. ორად დაწნულ გრძელ ნაწნავებზე თეთრი ბანტები შემაბა და... დაიწყო ჩემი ბედნიერი სკოლის წლები. შემოდგომაზე უფრო თბილი, შალის ქსოვილის კაბაც შემიკერა. ერთი ფორმის კაბას ორი წელი ვხმარობდით, იმდენს შეუკეცავდნენ ახალშეკერილს, რომ მეორე წელს ჩამოეშალათ და ისევ სათანადო სიგრძე ჰქონოდა, ანუ მუხლის თავები დაეფარა, რადგან სირცხვილი იყო უფრო მოკლე კაბა რომ გცმოდა. ჩემს დროს საშუალო სკოლაში სწავლება 10, ხან კი 11 წლით განისაზღვრებოდა. მე ათი წელი მომიწია და ერთი დღეც არ მახსოვს, სხვა რაიმე გვცმოდა, ცივ დღეებში სათბილობლად ჯემპრებს კაბის შიგნიდან ვიცვამდით. თეთრი საყელოთი და სამაჯურებით გაწყობილი კაბები ყველას ძალიან გვიხდებოდა. სპორტულ შარვლებს მხოლოდ ფიზკულტურის გაკვეთილზე ვიცვამდით. ფორმის კაბები გვეცვა არა მხოლოდ გაკვეთილებზე, არამედ სცენაზე ლექსის თქმის დროსაც, ან სიმღერის შესრულებისას. მახსოვს, ერთხელ, მეშვიდე კლასის გამოსაშვები გამოცდების მზადებისას, საღამოს მათემატიკის კონსულტაციაზე (მაშინ რეპეტიტორი რა იყო, ისიც არავინ იცოდა, საგამოცდო საგნის მასწავლებელი ვალდებული იყო, მთელი კლასისთვის დამატებით ჩაეტარებინა კონსულტაციები და გაურკვეველი საკითხები, რომელსაც ბავშვები დააყენებდნენ, ხელახლა აეხსნა და განემარტა) გავბედე და შტამბოვკის ლამაზი კაბით გამოვცხადდი. საგნის მასწავლებელმა მაყვალა ასანიშვილმა, რომელიც, ამავდროულად, კლასის დამრიგებელიც იყო, ისეთი შენიშვნა მომცა, დღემდე მახსოვს ის სირცხვილი - რას გამოწყობილხარ გასათხოვარი ბარიშნასავით, დაგავიწყდა, სკოლაში რისთვის დადიხარო? არა, არ დამავიწყდა, სკოლაში სასწავლებლად დავდიოდით და არა ტანსაცმლის გამოსამზეურებლად. ორიგინალობის და განსხვავებულობის შანსს არდადაგები გვაძლევდა და, ვფიქრობ, სრულიად საკმარისი იყო გემოვნების ჩამოსაყალიბებლად.

„მისწრაფება, შეიყვანოს ახალგაზრდა მომავალ ცხოვრებაში მორჩილების და თავშეკავების ვიწრო კარით, რაც შემდგომში შესაძლებლობა მისცემს დამოუკიდებლად აღუდგეს წინ მანკიერებას საკუთარ თავში, ეს არის აღზრდის სისტემის ჭეშმარიტი არსი. მხოლოდ ასეთი აღზრდა ასწავლის ბავშვს სამყაროში სწორად ორიენტირებას, ადამიანებთან სწორი ურთიერთობის დამყარებას და, სავსებით შესაძლებელია, დაიცვას იგი ფსიქიკური გადახრებისა და დაავადებებისაგან".

**მღვდელი ალექსი გრაჩოვი**
**ექიმი-პედიატრი**







სკოლაში კი ყველა – შეძლებულიც და ნაკლებშეძლებულიც ერთნაირი უფლებით და მოვალეობით უნდა ყოფილიყვნენ, რომ ვინმე არ გაყოყოჩებულიყო თავისი მშობლების ფულით და დიდი წარმოდგენა არ შექმნოდა მათზე, ან ვინმე არ დაჩაგრულიყო და გული არ დასწყვეტოდა ოჯახის უნიათობაზე.

ახლანდელებს უკვირთ, არ „გიტყდებოდათ“, რომ ყველანი ერთნაირად გამოიყურებოდითო!? სულაც არ გამოვიყურებოდით ერთნაირად, შეგვეძლო ჩვენი სურვილის მიხედვით ფორმა დეტალებით განგვესხვავებინა: საყელოები ხან ატლასის, ხან არშიების, წინსაფრები, ხან ნაოჭებიანი, ხან პლისე, ზაფხულში თეთრი ნახევრადგამჭვირვალე კაპრონის, ან კრევდიშინის, ან ქათქათა ტილოს და ბატისტის, გაკრახმალებულ- გატკიცინებული, ზამთარში- შავით ჩავანაცვლებდით, და ეს სულაც არ ზღუდავდა ჩვენს თავისუფლებას, პირიქით, ჩვენ არ ვღელავდით ყოველ დილას გუშინ რა მეცვა, დღეს რა ჩავიცვა, თმა როგორ დავივარცხნო. რომელი საყურე გავიკეთო, სამაჯურები, ფრჩხილის ლაქი, თუ თმის ლოსიონი, ფეხსაცმელი, სხვადასხვა აქსესუარებიაი, დღევანდელი მოსწავლის ყოველი დილის გაწა-მაწია. ჩვენ ყოველ დილას იმაზე ვფიქრობდით, პირველი გაკვეთილი რა გვქონდა, ვიცოდით თუ არა გაკვეთილი, გვქონდა თუ არა საშინაო დავალება შესრულებული სათანადოდ. არა, მე არ ვარ იმ აზრზე, რომ დღევანდელი ბავშვები არ ფიქრობენ სწავლაზე, ცოდნის დონის ამაღლებაზე, მაგრამ – ცოტანი. უმრავლესობა სტიქიურად მისდევს მოვლენებს. ტექნიკურ-ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ზოგიერთი სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა, მთელი დღე ტელეფონის ჩხიკინი, უაზრო მიწერ-მოწერა, თამაშები. მაშინაც იყვნენ ზარმაცები, სამოსან-ოროსნები, მაგრამ ეს სირცხვილად ითვლებოდა. ახლა კი ყველაზე მეტს ის ყელყელაობს, ვისაც ნაკლები ცოდნა აქვს, მაგრამ ყველაზე მაგარი დახეული ჯინსი აცვია და „შნურუკებგახსნილი“ ბოტასები, ან ისეა ჩახატული, თატრის მსახიობი გეგონება, ვისაც ძვირად ღირებული ტელეფონი უჭირავს. თინეიჯერი გოგონა არაფრით განსხვავდება მოწიფული ქალიშვილსგან. ეს ხომ იმ ეტაპის გამოტოვებას ნიშნავს, რასაც განუმეორებელი და ბედნიერი ბავშვობა ჰქვია და არც თუ ისე ხანგრძლივია, მის იქეთ მთელი ცხოვრება წინ არის, სადაც იქნება ხან გრძელი, ხან მოკლე თმის ვარცხნილობა, კაბები ათასნაირი, შარვლები, დაბალი ან მაღალი ქუსლები ფეხსაცმელზე, ძვირფასი სამკაულები, ან „ბიჟუტერია“, მაგრამ აღარ იქნება სანატრელი სუფთა ბავშვობა.

შეიძლება იფიქროთ,ეს ქალბატონი ხანდაზმული ადამიანია და თანამედროვეობას მოწყვეტილიო, მაგრამ ასე სულაც არ არის, მე ვამბობ, რომ ყველაფერს აქვს თავისი დრო და საზღვარი. აბა, მოვუსმინოთ, როგორ ახასიათებენ ნამდვილ ქალს:„ ის იყო აუჩქარებელი, მოკრძალებული, არ უყვარდა ბევრი და ფუჭი ლაპარაკი, არ იმანჭებოდა, არავის ბაძავდა, მასში ყველაფერი უბრალო და მშვიდი იყო.“ ზოგი შეისმენს ჩვენს შეგონებას, ზოგი – არა, მაგრამ გვიან მაინც მიხვდება, რომ სკოლაში ზედმეტი ღებვა, კოსმეტიკა, სამკაულები და სხვა, მას არაფერში სჭირდებოდა, რომ თავის ასაკთან შედარებით, უფრი ასაკოვანს აჩენდა, რომ მისი ქცევის მანერა – ხმამაღალი საუბარი, სიცილ-ხარხარი, ჟარგონული და უწმაწური სიტყვების ხმარება, მის ღირსებას არათუ რამეს მატებდა, არამედ აკნინებდა კიდეც. თავს არ შეგაწყენთ ჩემი შეგონებებით და დავასრულებ მას ჩვენი დიდი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფრაგმენტით:



„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე
მსწრაფლად დაჭკნების,
მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა,
გული და სული,
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.

ნაირა გორაშვილი

P.S. ბევრ განვითარებულ და მდიდარ ქვეყანაში სასკოლო და საკოლეჯო ფორმები სავალდებულოა.

# ნომინაცია „წარმატებული ოჯახი“

*„მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ მხოლოდღა დედამისისა და ბებია-პაპების ნაშიერი კი არა, ქართველი ერის შვილები ხართ ისევე, ყოველი ქართველი მამულიშვილი ერისა, რომლის უანგარო სამსახურს შეალიეს თავისი სიცოცხლე ჩვენ წინაპართაგან ურჩეულესებმა, უნდა იცოდეთ და ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას ითვალისწინებთ, რომ ხალხი, როგორც ფენომენი, მხოლოდღა დღესდღეობით ნაწილია იმ მარადიულობისა, რასაც ქართველი ერი ჰქვია, ხოლო ერის საწყისი და ძირითადი ბირთვი ოჯახია, რაც თავად თქვენც უეჭველად უნდა შექმნათ და იმრავლოთ, რათა ხსენებული მარადისობა უზრუნველჰყოთ. ეს თქვენი წმინდათაწმინდა ვალია!“*

ჭაბუა ამირეჯიბი

ტრადიულად, გაზეთმა „საქართველოს ლირიკა“ და საქველმოქმედო საზოგადოებამ „ამაგდარი“ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხის შედეგად ნომინაციაში **„წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია“** მასშტაბით გამოავლინა **წარმატებული ოჯახები:**

ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე **(თბილისი)**
ჯემალ და მანანა ბაღაშვილები **(თბილისი)**
რომან მჭედლიშვილი და ნინო გომარელი **(ბორჯომი)**
გივი ღვინიაშვილი და რეგინა ჯანიაშვილი **(დედოფლისწყარო)**
იაგო ყორიაშვილი და ლია ხუციშვილი **(დედოფლისწყარო)**
სოსო და მარინე თევზაძეები **(დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ოზაანი)**.

სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციების ერთგულ დამცველებს, ღირსეული შვილების აღმზრდელ მშობლებს, საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს გილოცავთ **„წარმატებული ოჯახის“** ნომინაციაში გამოვლენას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს თქვენს წარმატებულ ოჯახებს.

# თუ ბავშვს ხშირად... მარია მონტესორის 19 მცნება მშობლებს

მარია მონტესორი ცნობილი იტალიელი მეცნიერი, ექიმი-ანთროპოლოგი, პედაგოგი და ფსიქოლოგია. ის იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იტალიის ისტორიაში, რომ მონტესორის გამოსახულება ეროვნულ ვალუტაზეც დაიტანეს.

1. ბავშვები სწავლობენ ყველაფრისგან, რაც გარს აკრავთ.
2. თუ ბავშვს ხშირად აკრიტიკებენ, ის სხვების დადანაშაულებას – მათთვის გადაბრალებას ეჩვევა.
3. თუ ბავშვს ხშირად აქებენ – ის შეფასებას სწავლობს.
4. თუ ბავშვს მტრულად ექცევიან – ის ხელჩართულ ჩხუბს სწავლობს.
5. თუ ბავშვს არ ატყუებენ და მასთან გულწრფელები არიან – ის სამართლიანობას სწავლობს.
6. თუ ბავშვს ხშირად დასცინიან – ის მშიშარა, მორცხვი და მორიდებული ხდება.
7. თუ ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს – ის ნდობას სწავლობს.
8. თუ ბავშვს ხშირად არცხვენენ – ის გამუდმებით დამნაშავედ იგრძნობს თავს.
9. თუ ბავშვს ხშირად უწონებენ საქციელს – ის საკუთარი თავის პატივისცემას სწავლობს.
10. თუ ბავშვის მიმართ ხშირად იჩენენ მიმტევებლობასა და გულმოწყალებას – ის მოთმინებას სწავლობს.
11. თუ ბავშვს ხშირად ამხნევებენ – ის თავდაჯერებული ხდება.
12. თუ ბავშვი მეგობრულ ატმოსფეროში ცხოვრობს და თავს საჭიროდ გრძნობს – ის სიყვარულის პოვნას სწავლობს.
13. არასდროს თქვათ ბავშვზე ცუდი – არც მისი თანდასწრებით და არც მის გარეშე.
14. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვში კარგი თვისებების განვითარებაზე და ცუდისთვის ადგილი აღარ დარჩება.
15. ყოველთვის მოუსმინეთ და უპასუხეთ ბავშვს, როდესაც ის მოგმართავთ.
16. პატივი ეცით ბავშვს, რომელმაც შეცდომა დაუშვა და ცდილობს მის გამოსწორებას დღესვე ან ცოტა მოგვიანებით.
17. ყოველთვის დაეხმარეთ ბავშვს, რომელიც ძიებაშია და დარჩით შეუმჩნეველი იმ ბავშვისთვის, რომელმაც უკვე იპოვა ის, რასაც თავისთვის ეძებდა.
18. დაეხმარეთ ბავშვს იმის ათვისებაში, რაც აქამდე არ აუთვისებია. გააკეთეთ ეს მზრუნველობით, თავშეკავებით, ჩუმად და სიყვარულით.
19. ბავშვთან ურთიერთობაში ყოველთვის მიაქციეთ ყურადღება კარგ მანერებს და დაანახეთ მას ყველაფერი საუკეთესო, რაც თქვენშია.

# სიახლეების გაგება, დანერგვა და გამოცდილების გაზიარება, ესაა სოფლის მეურნის წარმატების გასაღები...



საქართველო მიწის ქვეყანაა, ვიცით. ამ ქვეყანას ვერც უცხოეთიდან შემოტანილი ბანანების ბიზნესი უშველის, ვერც პოლიტიკოსთა სიმრავლე თუ მათი ურთიერთქიშპობა და ვერც ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია გადაგვარჩენს, თუ იმ პოტენციალის სწორად გამოყენების უნარი არ გავითავისეთ, რაც ბუნებამ გვიბოძა. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის და წარმოების მანქანა არ ამოიქოქა, მანამდე ჩვენი საშველი არ დადგება. თუმცა, ერთია, რომ ვხედავთ და ვამბობთ, მაგრამ ამ ლაფსუსის ამოსავსებად წლებია, წინსვლა არ შეინიშნება, ამასაც ვხედავთ. უამრავჯერ აღვნიშნეთ, რომ კახეთში, არარენტაბელურობის გამო, თითქმის უმრავლესობა წვრილწვრილი ნაკვეთების მეპატრონეებმა აიღეს ხელი მიწის დამუშავებაზე და შემოტანილი, ნაყიდი ფქვილის ტომარების ანაბარა უამრავი ოჯახი დარჩა. დღეს ქიზიყის სოფლის მეურნეობის გადასარჩენად მსხვილი ფერმერებიღა იბრძვიან და თუ მათაც შეუშალეს ხელი, ანდა ვერ წაუვიდათ საქმე კარგად, დარგის განვითარება საფრთხის ქვეშ დადგება. ბევრმა მცირემიწიანმა ჩაიქნია ხელი, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სწორ სტრატეგიას ხედავენ, ესენი არიან პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანები, ვინც ზუსტად იცის, სად ჩადონ მარცვალი და სად დაიძახებს ის. ადამიანი, რომელზეც უნდა გესაუბროთ, ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ახალგაზრდაა, მართალია, იგი ჩვენთვის, ყველასთვის ნაცნობ ოჯახში გაიზარდა, მაგრამ მან თავისი საქმით და შრომისმოყვარეობით ცალკე სახელი დაიმკვიდრა. ბექა გონაშვილი არის ადამიანი, რომელმაც ყოველდღიურ საზრუნავად ფერმერობა და ამ სფეროში არსებული გამოწვევები გაიხადა. უნდა ვაღიარო, რომ ბექასნაირი შრომისმოყვარე ახალგაზრდების დეფიციტი დღეს ნამდვილად არსებობს ჩვენს ირგვლივ. მან იცის რა უნდა აკეთოს და როგორ უნდა აკეთოს და საუკეთესო მაგალითია სხვა ახალგაზრდებისთვის, ხელი მოკიდონ შრომას და გამოიყენონ იმ შესაძლებლობების მაქსიმუმი,რასაც ჩვენი მადლიანი კუთხე იძლევა. გარდა ამისა, ბექა არის ადამიანი, რომელმაც თითქმის მთელს საქართველოს შეაყვარა სოფლის მეურნეობა როგორც დარგი, თავისი უბრალოებით და უშუალობით ადამიანები დააყენა ფაქტის წინაშე, როგორ უნდა გიყვარდეს შენი საქმე და თუ ამ საქმეში ჩადებ მთელ გულს, გონიერებას, დაუზარლობას, ის აუცილებლად მოგვცემს ნაყოფს.

საინტერესოდ გამოიყურება მისი დღიურები და ჩანაწერები, რომლებიც ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს შემდგარა: „მომავალ კვირაში ძროხების ჰოლანდიელი კვების სპეციალისტი ჩამოდის მათთან და უნდა შევხვდეთ, კახეთშიც უნდა წავიყვანოთ და ფერმები ვანახოთ: რა მდგომარეობაა, რას აჭმევენ. ახლა, ყველაზე ოპტიმალური რაციონის შედგენა რომ შევძლოთ. კარგია! სწორი კვება, საკვების დამზადება, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარული მომსახურება, ჯანმრთელი პირუტყვი, ჯიშობრივი გაუმჯობესება — ეს ისაა, რაც ხვალინდელ ქართველ ფერმერს ქმნის და ჩვენც ამას ვქმნით უკვე ხუთი წელია. კადრებში გვიჭირს, მაგრამ მაგასაც ვუმკურნალებთ ღვთის მადლით.“-ამბობს რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბექა გონაშვილი. ამ ერთი აბზაციდანაც კარგად იკვეთება რა არის ბექა გონაშვილის საზრუნავი და გვაძლევს სურათს, რომ ამ ახალგაზრდა ადამიანს საკმაოდ შორსმიმავალი გეგმები აქვს. იქვე დასძენს: – „მაშ, გასრულდა ესე ამბავი ამ კვირაში ნაგროვები, თუ ამ დღიურის წაკითხვის, ან მოსმენის მერე, ერთით მეტი ფერმერი გვეყოლება საქართველოში, ერთით მეტი ადამიანი დააფასებს ფერმერის შრომას, მაშ ტყუილად არ მიწერნია ამდენი, იმიტომ რომ „ფერმერი არის გმირი“!!! – აბსოლუტურად ვეთანხმები, ფერმერი გმირია! განა შეიძლება გმირად არ ჩაითვალოს ადამიანი, რომელიც ხან გზაშია, ხან შეხვედრებზე, ხან ევროპის რომელიმე ქვეყანაში მოგზაურობს და იზიარებს სხვათა გამოცდილებებს ამ დარგში, ხან იორზეა, ცხვარს პატრონობს, ხანაც თავად მიაცილებს გადარეკვის პროცესს მის საძოვრებისკენ და ხან კი, ტელეეთერებში „მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელის“ პოსტიდან ფერმერთა ინტერესებს იცავს, დიახ გმირობის ტოლფასია მისი საქმე და როგორც თავადვე ქიზიყურად ამბობს, ამაშია მთელი ამ ცხოვრების ხიბლი, ამ ცხოვრების ლაზათი. **წარმოგიდგენთ ფერმერს, ბიზნესმენს და საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის** ბექა გონაშვილს, **ნამდვილ ქიზიყელ ახალგაზრდა კაცს, ფერმერობაში არჩეული სწორი სტრატეგიით, დასახული გეგმებით და მიზნებით.**

**-თქვენი მოკლე ავტობიოგრაფია, როგორი ხასიათის ბავშვი იყავით, გაიხსენეთ სკოლის წლები...**

-დავიბადე ქალაქ თბილისში, სხვადასხვა დროს სასკოლო განათლებას ვიღებდი სოფელ არხილოსკალოს, სოფელ არბოშიკის, ქალაქ თელავის და თბილისის სკოლებში, შესაბამისად, სკოლის დამთავრების დროს დაახლოებით 70-ზე მეტი თანაკლასელი დამიგროვდა. 2000 წელს, ოჯახთან ერთად, გადავედი თბილისში, სადაც ჩავაბარე იურიდიულ კოლეჯში, ხოლო 2002 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, ასევე 2001 წლიდან 2009 წლამდე ვიყავი ანსამბლ „ჩვენებურების“ თანადამფუძნებელი და მენეჯერი. 2009 წლიდან ჩავერთე ოჯახურ საქმიანობაში, დავიწყე ცხვრის ექსპორტი, ხოლო 2011 წლიდან დედოფლსიწყაროში დავაფუძნე ფერმერთა მომსახურების ცენტრი შპს „აგროქიზიყი“, რომელიც ამჟამად ემსახურება ფერმერებს ვეტერინარიაში, მცენარეთა დაცვის საშუალებებში და სასუქებში, ძროხის და ღორის ხელოვნურ განაყოფიერებაში, 2005 წლიდან გვაქვს საკვების საწარმო, ასევე ფერმის სხვადასხვა აღჭურვილობა, საწველი დანადგარები და ინფრა-წითელი ლაბორატორიული აღჭურვილობა. ამ ბოლო დროს თბილისში, პარტნიორებთან ერთად, გავაკეთე ხორცის მაღაზია „ბექას ნობათი“. 2010 წლიდან ვარ „საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე“.

**-შენ ხარ მაგალითი იმის, რომ შეძლებული და განათლებული ოჯახის შვილმა, თავს არ მიეცი უფლება, უშრომველად გეცხოვრა და ზოგიერთი მდიდარი მამის შვილებივით გართობას კი არ მიჰყავი ხელი, არამედ საქმეს მიეცი თავი და კიდევ უფრო მეტი სიახლე შემოიტანე სოფლის მეურნეობის დარგში, ვიდრე აქამდე ვინმეს შემოუტანია. ეს გამოგარჩევს სხვებისგან და კარგი კუთხითაც წარმოგაჩენს. შენი თავდადებული შრომისუნარიანობა, კრეატიულობა სოფლის მეურნეობის დარგში, საქმის მიმართ პასუხისმგებლიანობა დასაფასებელია. უდიდესი ენერგიის მატარებელი ხარ ამ კუთხით, ძალიან ბევრი რამ დაუმტკიცე საზოგადოებას, რომ კარგი კაცის შვილი აუცილებლად კარგ ადამიანად იზრდება და ყალიბდება, შენში ეს მონდომება შინაგანად იყო, მამისგან აითვისე შრომისმოყვარეობა, მან შთაგინერგა, თუ თანამედროვეობამ და საფუძვლიანმა განათლებამ მოგცა ამის უნარები?**

- მგონი, ეს შეფასება ძალიან გადაჭარბებულია, ჩემი მიზანი არაა მისაბაძი ვიყო, ან ვინმეს მივბაძო, პირიქით. მომწონს და მხარს ვუჭერ ყველაფერს განსხვავებულს და ერთფეროვნება არ მიყვარს, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი სიახლე უნდა არსებობდეს. ჩემი აქტიურობით, ვცდილობ, რომ ის ადამიანები, ვისაც რატომღაც “ხელი აქვთ ჩაქნეული” აწინდელზე და მომავლს მომავლად კი არა “ამ წუთისოფლის გასალევად აღიქვამენ” სხვა ალტერნატივა შევთავაზო. იმიტომ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი საერთოდ განუვითარებელია, რაც მეტი სიახლის დანერგვის საშუალებას გაძლევს, თუმცაღა, პრობლემაც ბევრია: მენტალიტეტი, საკანონმდებლო-სარეგულაციო, სამუშაო ძალა, პარტნიორიც კი და ფინანსურ რესურსებზე ხომ აღარაფერს ვამბობ, მაგრამ სწორედ ეგ, ჩვენი მრავალი გამოწვევებია, მაგის გამოა, რომ საინტერესო ხდება ჩემთვის ყოველდღიურობა. არ მიყვარს იმის კეთება, რასაც სხვა უკვე აკეთებს და ვცდილობ, ჩემებურად გავაკეთო, უფრო მეტი პრობლემებიც მხვდება, მაგრამ რატომღაც ასე მირჩევნია. ეს ჩემი ხასიათიც, რა თქმა უნდა, მამაჩემის და დედაჩემის, მთლიანად ოჯახის, პაპების და ბებიების დამსახურებაა, რადგან მათი ცხოვრების სტილი ჩემთვის საინტერესო და დასაფასებელი იყო, თუმცა, არცერთ მათგანს არასდროს არ დავუსვივარ და აუხსნია, ასე და ასე უნდა იცხოვრო. უფრო მათი ყურებით გამოვიტანე დასკვნები, რითაც დღესაც ვცხოვრობ. სწორედ ამის გამო მინდა, რომ ჩემი ცხოვრებაც იყოს სუფთა და ალალი, რომ ჩემმა შვილებმა უფრო მარტივად გაიგონ, როგორ ჯობია ცხოვრება, ვიდრე ვინმემ ამაზე დღეში 3-4 საათიანი გაკვეთილები უტაროს. კარგად მახსოვს, როცა მამაჩემი იორზე მტოვებდა ხოლმე სკოლის მოსწავლეს 45-50 გრადუს სიცხეში, ლამის ერთი თვე პამიდორში სამუშაოდ სხვებთან ერთად და ამ დროს ჩემი კლასელები თუნდაც ლაგოდეხში მიდიოდნენ ნათესავთან, ახლობელთან დასასვენებლად. მე გული მომდიოდა, მაგრამ იქიდან ამოსულს, მერე კარგი დაფასება მქონდა ხოლმე, ხელფასი მხვდებოდა, რომლის დახარჯვაც ისე შემეძლო, როგორც მინდოდა. მახსოვს, პირველი ხელფასით სანადირო დანა ვიყიდე, მეორეთი კი ფერადი ტელეფონი, რომელიც ძალიან მინდოდა და ასე შემდეგ.... არ მინდა, ვინმემ არასწორად გამიგოს და განათლების როლს და მნიშვნელობას არ ვაკნინებ, პირიქით, მაგრამ ძალიან ბევრი წიგნია ასევე ჩვენს გარშემოც (ცხონებული გოდერძი ჩოხელისა არ იყოს, ისიც ხომ წიგნებად აღიქვამდა ადამიანებსაც, გუდამაყრის ბუნებას...) და იმ წიგნებსაც გულდაგულ წაკითხვა უნდათ, მე ასე მგონია. მინდა, ასევე აღვნიშნო, რომ სტიმულს და მაგალითს მე თავად ბევრისგან ვიღებ, არამხოლოდ მამისგან, მათ შორის ჩემზე პატარებიდან და ერთ-ერთი ასეთია ჩემი ძმა ბიძინაც და ჩემი ბიძაშვილი გურამ გონაშვილიც. სასწაული მოხერხებულობის, შრომისმოყვარეობის, ოსტატობის მაგალითები არიან, გურამმა ამ ზაფხულს იორზე 55 გრადუს სიცხეში ათას ტონამდე საზამთრო მოიყვანა, თავად გაასარწყავა ტერიტორია, დაასაქმა 20-22 წლის ბიჭები (ძირითადად მოჭიდავეები), მათთან ერთად ცხოვრობდა ეს პერიოდი ამდენ კოღოებსა და გველებში, მოკლედ, ძალიან ვამაყობ ჩემი ოჯახის წევრებით!

**-მარიხუანას დეკრიმინალიზაციას აპროტესტებდი ამას წინათ, ისე როგორც ბევრი საქართველოზე გულშემატკივარი ადამიანი, ამაზე თქვენი კომენტარი.**

-ალბათ, არასწორად გამიგეთ, დეკრიმინალიზაციას არ ვაპროტესტებ, პირიქით, მგონია, რომ ადამიანებს ჩვენ ვერ ავუკრძალავთ, როგორ მოექცნენ თავიანთ თავს, ორგანიზმს, ბედს და ასე შემდეგ, მაგრამ, ასევე მიუღებელია ამისი კულტივირება, გავრცელება დიდი ოდენობით და სხვა, რადგან ასეთ დროს ადამიანი სჩადის დანაშაულს. დეკრიმინალიზაციის მომხრე ვარ მომხმარებლებისთვის, რადგან ხშირად ყოფილა შემთხვევა რომ “პოლიციამ ვიღაცას ჩაუდო მარიხუანა” და ამდაგვარი, ჯერ ერთი ამის თქმის საშუალება რატომ უნდა მივცეთ ვიღაცას, თუ არსებობს მტკიცებულებები, დააკავონ პიროვნება და თუ არა, ამ მიზეზით დაკავება ჩემთვის მიუღებელია, მიუღებელია იმიტომაც, რომ დიდი რაოდენობით თანხები იხარჯება შემოწმებაზე და ხშირად ეს მცდარია ხოლმე, იქნებ, ამ თანხებით დავაფინონსოთ მარიხუანას საწინააღმდეგო კამპანიები და ეს უკეთესი იყოს? მე ვფიქრობ, ადამიანს რასაც უკრძალავენ, იმას უფრო ეტანება, ვიდრე ის, რაც გაცნობიერებული აქვს რომ ცუდია, მას სათოფეზე არ გაეკარება.

არამგონია, მარიხუანას ეწევა თუ არა ადამიანი, ამით განისაზღვრებოდეს ან მისი სიყვარული საქართველოს მიმართ, ან მეგობრის მიმართ, ან უბრალოდ ადამიანის მიმართ, აქ პრობლემების საფუძველი სხვაგან უნდა ვეძიოთ ალბათ და მხოლოდ კანონი მაგას ვერ მოაგვარებს. როცა საკუთარ ოჯახებს ვერ ვუთმობთ ხოლმე ხშირად საჭირო დროს, გათითოკაცებულები რომ ვართ, 2 კაპიკის გამო ვღალატობთ ქვეყანას და ერთმანეთს, იოლი ფულით გვინდა ტკბილი ცხოვრება მოვიწყოთ და სხვები არ გვედარდება, მგონი, ეს უფრო სადარდებელია.

**-თქვენ და ფეისბუქომანია, მას იყენებთ, როგორც პრესრელიზებისთვის, საზოგადოებისთვის კარგი დილამშვიდობის სასურველად და ასევე ბანკების გამოსალანძღავად. ისე მკვეთრია, სწორი და მკაცრი, რომ მომწონს ხოლმე ეს განცხადებები, რაც არ უნდა კრიტიკული იყოს, მშვენიერია. რას იტყვით?**

-სოციალური მედია კარგი საშუალებაა იმისა, რომ ყოველდღე პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც მხოლოდ ლოზუნგებით არ გამოხვალ, არამედ მსჯელობის, სხვადასხვა მტკიცებულების წარდგენის კარგი საშუალებაცაა. ინტერნეტ აქტიური ყოველთვის ვიყავი, 2003 წლიდან თბილისის ფორუმიდან რომ დავიწყე, დღემდე ასე გრძელდება, ხშირად თვლიდნენ და ახლაც თვლიან ოჯახის წევრები, რომ ეს ჩემი დროის კარგვა იყო, რაღაც კუთხით მეც ვეთანხმები ხოლმე, მაგრამ მეორეს მხრივ, კარგიც არის: “გაუჩენელს გააჩენ კაცი” ერთი სტატუსი მახსოვს ჩურჩხელაზე, მეგობარმა მთხოვა ჩურჩხელების ყიდვა მინდა საექსპორტოდო, ხოდა დავწერე ერთი სტატუსი და იმდენი ხალხი გამომეხმაურა, მერე ძლივსღა ვიგერიებდი, უფრო სწორად ვამისამართებდი.

ასევე ხშირად მქონია დაპირისპირებდა მავან ხალხთან, განსაკუთრებით ბოლო 3 წლის მანძილზე, ე.წ. სომხურ ცხვარს რომ ეხებოდა, ამ დროს, მე ფეისბუქი და საზოგადოებრივი აზრის სწორად მომართვა და ჩამოყალიბება მჭირდებოდა იმისთვის, რომ მარტო არ ვყოფილიყავი, და თუ რამეს მივაღწიეთ ამ ფლანგზე მეცხვარეებმა, ლომის წილი ჩემს სოციალურ აქტიურობას ჰქონდა, მგონი დამეთანხმებით.

**– თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე რა არის სოფლის მეურნეობა და რაში მდგომარეობს მისი კარგად მართვის საფირმო საიდუმლოება და რა არის ბიზნესი და მისი ასევე კარგად მართვა?**

– ვერ ვიტყვი, რომ მე სოფლის მეურნეობაში წარმატებული ვარ, ჯერ ძალიან ბევრი წელი მჭირდება, რომ ვთქვა, რაღაცას მივაღწიე-მეთქი, უბრალოდ, ყველაფერში მეხმარება ხასიათი იმისა, რომ ახალი და გასხვავებული მინდა ყველაფერი, ასევე მეხმარება მამაჩემი, მისი სახელიც და გამოცდილებაც. ყველაზე დიდი კრიტიკოსი, ყველა ჩემი ოცნებებისა და იდეების ყველაზე დიდი

**(გაგრძელება გვ.7)**

# კიბო სასიკვდილო განაჩენი აღარ არის

ონკოლოგიური დაავადებები საქართველოს მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში მეორე ადგილზეა. თუმცა როგორც მედიკოსები ამბობენ, მსოფლიო მედიცინის მიღწევების ფონზე, კიბო სასიკვდილო განაჩენი აღარ არის და სიცოცხლის გადარჩენა მის ადრეულ სტადიაზე აღმოჩენისას უკვე შესაძლებელია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება. ექსპერტთა მტკიცებით, მსოფლიოში აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის განუხრელი ზრდის ტენდენცია, ამასთან, ავადობისა და სიკვდილობის ძირითადი ტვირთი მოდის განვითარებადი ქვეყნების წილად, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება საქართველო.იმავე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აქვეყნებს მონაცემებს იმის შესახებ, რომ საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად კიბოს 12 000-ზე მეტი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი ციფრია, თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, კიბოთი ავადობის მაჩვენებლების მიხედვით, შუალედური ადგილი უჭირავს მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ხოლო ონკოლოგიური ავადობის დინამიკა იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოშია და ეს მატება რაიმე განსაკუთრებით მაღალი ტემპით არ გამოირჩევა, თუმცა ეს დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს, მით უფრო, რომ ჩვენთან ავადმყოფთა 70-75 პროცენტი ექიმს დაავადების იმ სტადიაში მიმართავს, როდესაც რადიკალური მკურნალობის მეთოდი უკვე აღარ გამოიყენება. ასეთი პაციენტები საჭიროებენ ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას, ხოლო პროგნოზი არაკეთილსაიმედოა. ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში მკურნალობის ეფექტიანობა პირდაპირაა დამოკიდებული ადრეულ დიაგნოსტიკაზე. I-II სტადიაში დადგენილი სიმსივნის მკურნალობის ეფექტიანობა ძალიან მაღალია და ხშირად სრული გამოჯანმრთელებით სრულდება.

ავთვისებიანი სიმსივნეების დაგვიანებული გამოვლენის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის მიერ პროფილაქტიკური გასინჯვების უგულვებელყოფა, ქრონიკული და კიბოსწინა დაავადებების მქონე ავადმყოფთა მეთვალყურეობის ფიქტიურობა, ძირითადი კლინიკური სპეციალობების ექიმთა არასაკმარისი ონკოლოგიური სიფხიზლე. ამასთან, მოსახლეობის დიდ ნაწილს გაცნობიერებული არ აქვს ექიმისთვის დროულად მიმართვის აუცილებლობა, რაც კიბოს საწინააღმდეგო პროპაგანდის დეფიციტსა და საგანმანათლებლო მუშაობის სისუსტეზე მიუთითებს.

ამასთან ერთად, პირველი რიგის ამოცანად რჩება ონკოლოგიურ დაავადებათა მიმართ არსებული სუბიექტური ფაქტორებისა და სტერეოტიპების შეცვლა როგორც მოსახლეობის, ასევე, სამედიცინო პერსონალის აზროვნებაში: უწინარეს ყოვლისა, უნდა დავძლიოთ შიშის ფაქტორი და გავაცნობიეროთ, რომ კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, ეს არის დაავადება, რომელიც, როგორც ბევრი სხვა პათოლოგია, ექვემდებარება მკურნალობას.

რეზო გაგუა, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი:

-ნორმალური ტიპის უჯრედიდან სიმსივნური ტიპის უჯრედად ტრანსფორმაცია არის ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცესი. ცვლილებები ვითარდება მრავალი შიდა და გარე ფაქტორების, ე. წ. კანცეროგენების ზემოქმედებით. ეს ფაქტორებია: ფიზიკური ფაქტორები, როგორიცაა ულტრაიისფერი და მაიონიზებელი გამოსხივება; ქიმიური კანცეროგენები, როგორიცაა აზბესტი, თამბაქოს ბოლის კომპონენტები, დარიშხანი; ბიოლოგიური კანცეროგენები, ინფექციები, რომლებიც გამოწვეულია ზოგიერთი ვირუსის, ბაქტერიისა და პარაზიტის ზემოქმედებით ორგანიზმზე (B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი და ზოგიერთი ტიპის ადამიანის პაპილომავირუსით (HPV) გამოწვეული პროცესები); არაჯანსაღი კვება, თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება.

კიბოს განვითარების რისკი ბევრად მაღალია კანცეროგენული ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედებისას, აგრეთვე, დამძიმებული მემკვიდრული განწყობის შემთხვევაში. მოკლედ რომ ვთქვათ, სიმსივნური დაავადებების განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. პირველ რიგში – 40 წელს გადაცილებული ასაკი, ორგანიზმის გენეტიკური, იმუნოლოგიური და ენდოკრინული სტატუსი, ეკოლოგიური გარემო, მავნე პროფესიული ფაქტორები, ცხოვრებისა და კვების პირობები, ინდივიდუალური და საყოფაცხოვრებო ჩვევები და ა. შ.

მაკა მაღლაკელიძე, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ონკოლოგიის დარგში:

– თანამედროვე მედიცინაში კიბოს პრობლემას, სირთულისა და სოციალური მნიშვნელობის მიხედვით, ანალოგი არ გააჩნია.

მამაკაცებში ყველაზე ხშირია ფილტვის კიბოთი ავადობა, ყოველწლიურად დგინდება 1000-ზე მეტი ახალი შემთხვევა; ქალბატონებში – ძუძუსა და რეპროდუქციული ორგანოების პათოლოგიები. ყოველწლიურად ფიქსირდება 1500-მდე ძუძუს კიბო და 800-ზე მეტი საშვილოსნოს ყელის სიმსივნეები. საკმაოდ ხშირია კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და სისხლმბადი ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები. სამწუხაროდ, ხშირია ფილტვისა და ღვიძლის ე. წ. მეორადი დაზიანებები, როდესაც პირველადი კერა ჯერ არ არის დადგენილი და დაავადება თავს იჩენს მეტასტაზებით შორეულ ორგანოებში.

სიმსივნური დაავადებები მოსახლეობის ყველა ფენაში გვხვდება და უდიდეს ზარალს აყენებს საზოგადოებას. ვითარდება არა მარტო უფროსი ასაკის მამაკაცებსა და ქალბატონებში, არამედ ბავშვებსა და რეპროდუქციული ასაკის ახალგაზრდებშიც. ამასთან, წლიდან წლამდე აღინიშნება დაავადების გაახალგაზრდავების ტენდენცია. თუმცა ისევე, როგორც მსოფლიოში, ჩვენთანაც კიბო მეტწილად მაინც ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრია.

ეს ავადობა შეიძლება შემცირდეს და გაკონტროლდეს დაავადების პრევენციის ადრეულ სტადიაზე გამოვლენისა და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში, როცა განკურნების შანსი ძალიან მაღალია. დამტკიცებულია, რომ 30 პროცენტზე მეტი კიბოს შემთხვევების პრევენცია შესაძლებელია ძირითადი რისკფაქტორების თავიდან აცილებით, შემთხვევათა კიდევ 30 პროცენტში სწორად ჩატარებული მკურნალობა სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება, დანარჩენ შემთხვევებში კი ჩვენ ვიბრძვით სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დარჩენილი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

რეზო გაგუა:

-უკანასკნელ ათწლეულში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და, კერძოდ, ონკოლოგიური სამსახურის სტრუქტურასა და ორგანიზაციაში. შემოღებულია დარგის პროგრამული მართვა, არსებითად შეიცვალა დაფინანსების პრინციპები. ახლებურადაა გააზრებული ჯანდაცვის სტრუქტურების თითოეული რგოლის ფუნქცია ონკოლოგიური დაავადებების მიმართ. მკვიდრდება პირველადი ჯანდაცვის განვითარებული სტრუქტურები, ოჯახის ექიმის ინსტიტუტი, რომელმაც, როგორც პაციენტთან შეხების პირველმა საფეხურმა, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს დაავადებების (მათ შორის, კიბოსწინა და ონკოლოგიური დაავადებების) პრევენციაში, მათ დროულ გამოვლენაში, დიაგნოსტიკასა და ავადმყოფთა სამედიცინო-სოციალურ რეაბილიტაციაში.

-გადაწყვიტა თუ არა საყოველთაო ჯანდაცვის ახალმა პროგრამამ ყველა ის პრობლემა, რომლებიც აქამდე ასე აწუხებდა პაციენტებს?

მას შემდეგ რაც ამოქმედდა ეს პროგრამა, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე არავითარი ფინანსური მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. ონკოლოგიური დაავადების მკურნალობა, სამწუხაროდ, საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია, რომლის დაძლევა ძალიან რთულია ფიზიკურად, მორალურად, ფინანსურად. პაციენტებს, როგორც წესი, სჭირდებათ ბევრი სერიოზული გამოკვლევა და, მკურნალობის თვალსაზრისით, არა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, არამედ დამატებით რადიოთერაპიისა და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსის ჩატარება.

ამჯერად ჯანდაცვა ნამდვილად საყოველთაო გახდა ნებისმიერი ადამიანისთვის. შესაძლოა, ჯერ კიდევ არის რაღაც დასახვეწი, მაგრამ ის, რომ პაციენტთა დიდი უმრავლესობა დღეს ღებულობს სახელმწიფო დახმარებას და არ არის შეზღუდული სამკურნალო დაწესებულების არჩევანში – უკვე უდავოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

ონკოლოგია დღეს კომპლექსური, მულტიპროფილური დარგია, რომელიც აერთიანებს კლინიცისტებსა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს -ქირურგ-ონკოლოგებს, რადიოლოგებს, ქიმიოთერაპევტებს, ჰემატოლოგებს, იმუნოლოგებს, პათომორფოლოგებს, ბიოქიმიკოსებსა თუ ბირთვული მედიცინის სპეციალისტებს.

ქართველი მედიკოსების მიზანია, შექმნან ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება.

ყველა ქართველის სურვილია, რომ სიმსივნე აღარ იყოს სასიკვდილო განაჩენი და ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ პაციენტებს საზღვარგარეთ აღარ მოუწიოთ გამგზავრებამ.

# საჭიროა მხოლოდ მოასწრო და გაიხსენო…

საოლქო საავადმყოფოს დერეფანში სავარძლით მივყავდი…

– საით? — ჰკითხა ერთმა ექთანმა მეორეს.

– იქნებ, ცალკე პალატაში არა. იქნებ, საერთოში?

ავნერვიულდი…

– რატომ საერთოში, თუ საშუალება არის, რომ ცალკე პალატაში მოგათავსოთ?

თქვა ერთ-ერთმა და თანაგრძნობით სავსე თვალებით შემომხედა. მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ ცალკე პალატაში მომაკვდავ პაციენტებს აწვენდნენ, მათ ვისაც განკურნების შანსი არა ჰქონდათ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სხვა პაციენტებს არ დაენახათ მისი აღსასრული.

– ექიმმა თქვა ცალკეო, — გაიმეორა ექთანმა.

დავმშვიდდი. როდესაც საწოლზე დამაწვინეს, სრული სიმშვიდე ვიგრძენი იმის გამო, რომ არსად ვიყავი წასასვლელი, რომ მე უკვე აღარავისთვის არაფერი მქონდა გასაკეთებელი და პასუხისმგებელი აღარაფერზე ვიყავი. ვიგრძენი უცნაური გარიყულობა დანარჩენი სამყაროსგან და ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო, თუ რა ხდებოდა მასში. აღარაფერი და აღარავინ მაინტერესებდა. მე მოვიპოვე უფლება დასვენებაზე. და ეს ძალიან კარგი იყო. მარტო დავრჩი ჩემს თავთან, საკუთარ სულთან და ცხოვრებასთან. მხოლოდ მე და მე. წავიდა პრობლემები, გაქრა ამაოება და მნიშვნელოვანი საკითხები. ეს სირბილი წუთიერებისთვის, მარადიულობასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან შედარებით, იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა…

და მაინც, რა ხდება ჩვენი ცხოვრების მიღმა? დავფიქრდი და მაშინ შევიგრძენი ნამდვილი ცხოვრება ჩემს ირგვლივ! აღმოჩნდა, რომ ეს ძალიან კარგი და სასიამოვნო იყო: ფრინველების გალობა დილაობით, მზის სხივები, ფანჯრის მიღმა ოქროსფერი ფოთვლების ცვენა, შემოდგომის მუქი ლურჯი ცა, ახლად გაღვიძებული ქალაქის ხმაური — მანქანის სიგნალები, ასფალტზე ფეხსაცმლის ქუსლების კაკუნი, ჩამოვარდნილი ფოთლების შრიალი…

ღმერთო რა მშვენიერია ცხოვრება! და ეს მხოლოდ ეხლა გავაცნობიერე…

– მერე რა, – ვუთხარი საკუთარ თავს. — ხომ მიხვდი მაინც? და შენ კიდევ რამდენიმე დღე გაქვს, რომ დატკბე მისით და მთელი გულით შეიყვარო.

ჩემში დაგროვილ თავისუფლების და ბედნიერების შეგრძნებას გარეთ გამოსვლა ეწადა და მე ღმერთს მივმართე, რადგან ის სხვებზე ახლოს იყო ჩემთან.

– ღმერთო! — სიხარულით ვუთხარი მას. — მადლობა იმისთვის, რომ იმის გაგების საშუალება მომეცი, თუ რა მშვენიერია სიცოცხლე, და რომ შევიყვარე ის. თუნდაც სიკვდილის წინ, მაგრამ გავიგე, რა კარგი არის ცხოვრება!

აღსავსე ვიყავი ჩუმი ბედნიერებით, სიმშვიდით და თავისუფლებით და უეცრად ზეციდან ზარების ხმა ჩამესმა. სამყარო აჟღერდა და ღვთაებრივი სიყვარული ოქროსფრად ალივლივდა. მე შევიგრძენი მისი ტალღების სიძლიერე, მისი ენერგია.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ სიყვარული გახდა მკვრივი და ამავდროულად მსუბუქი და გამჭვირვალე, როგორც ოკეანის ტალღები. მან ირგვლივ მთელი სივრცე შეავსო, ჰაერიც კი დამძიმდა და უცბად აღარ გადადიოდა ფილტვებში. მე მიყვარდა! და ეს იყო ბახის ძლიერი ორღანული მუსიკის და ვიოლინოს ჰაეროვანი მელოდიის ნაზავი.

ცალკე პალატა და დიაგნოზი «მწვავე ლეიკოზის მეოთხე სტადია», და კიდევ ერთი პრივილეგია: მომაკვდავთან ყველას უშვებდნენ, დღის და ღამის ნებისმიერ დროს.

ახლობლებს ჩემი მდგომარეობა შეატყობინეს და ჩემს სანახავად მოსული, ნათესავების რიგი დადგა. ყველას მოუნდა ჩემთან დამშვიდობება. მე კარგად მესმოდა მათი: რაზე უნდა ელაპარაკათ მომაკვდავთან? მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმაც იცოდა თავისი მდგომარეობის შესახებ. მეცინებოდა, როდესაც მათ დაბნეულ სახეებს ვუყურებდი. მე კი მიხაროდა — როდისღა მოვახერხებდი მათ ნახვას?! და ყველაზე მეტად მათთვის ჩემი სიყვარულის გაზიარება მინდოდა — შეიძლებოდა, ამის გამო ბედნიერი არ ვყოფილიყავი?! ისე ვამხიარულებდი ახლობლებს, როგორც შემეძლო: ვუყვებოდი სასაცილო ისტორიებს ჩემი ცხოვრებიდან, ანეგდოტებს…

მადლობა ღმერთს, ყველა იცინოდა და გამომშვიდობებამ მხიარულ ატმოსფეროში ჩაიარა. დაახლოებით მესამე დღეს, ლოდინი მომწყინდა და პალატაში დავიწყე სიარული, ფანჯრიდან ვიყურებოდი, როდესაც პალატაში ექიმი შემოვიდა და ჩხუბი დამიწყო, იმის გამო, რომ ფეხზე ვიყავი.

მე ძალიან გამიკვირდა:

– რომ დაწვე რამე შეიცვლება?

– არა, – ახლა ექიმი დაიბნა. — მაგრამ თქვენ არ უნდა იაროთ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ძალიან ცუდი ანალიზები გაქვთ და ამ მდგომარეობაში უკეთესია რომ იწვეთ.

გავიდა ჩემთვის მოცემული მაქსიმალური დრო — 4 დღე. მე არ მოვკვდი, მადიანად გეახლებოდით ყველაფერს, რასაც სული და გული მთხოვდა. თავს კარგად ვგრძნობდი. ექიმი კი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ანალიზების მიხედვით, რომლებზეც არანაირი ცვლილება არ ფიქსირდებოდა, უკვე უნდა მოვმკვდარიყავი. მე კი დერეფანში გასვლა და ტელევიზორის ყურება დავიწყე.

ექიმი შემეცოდა. სიყვარული, რომელიც ჩემში იყო, ირგვლივ მყოფების სიხარულს ითხოვდა.

– ექიმო, როგორი ანალიზები უნდა მქონდეს, რომ თქვენ დამშვიდდეთ?

– აი, მაგალითად, ასეთი მაინც. — მან ფურცელზე რაღაც ციფრები და ასოები დამიწერა. მე, რა თქმა უნდა, ვერაფერი გავიგე, მაგრამ ყურადღებით წავიკითხე. ექიმმა შემომხედა, რაღაც ჩაიბუტბუტა და წავიდა.

მეორე დღეს, დილის 9 საათზე, ექიმი პალატაში კივილით შემოვარდა:

– ეს როგორ გააკეთეთ?!

– რა გავაკეთე?

– ანალიზები! თქვენ ისეთი ანალიზი გაქვთ, გუშინ რომ დაგიწერეთ.

– აა..! აბა რა ვიცი? და რა მნიშვნელობა აქვს?

ბედნიერება დასრულდა. საერთო პალატაში გადამიყვანეს. ამ დროისთვის, ყველა ნათესავი უკვე დამემშვიდობა და ჩემთან სიარული შეწყვიტეს. მხოლოდ ოჯახის წევრებიღა მოდიოდნენ.

## საჭიროა მხოლოდ მოასწრო და გაიხსენო...

საერთო პალატაში, ჩემს გარდა, კიდევ 5 ქალი იწვა. ისინი ჩუმად იყვნენ და კედლებს მიშტერებოდნენ. მე მხოლოდ 3 საათი გავძელი. ჩემმა სიყვარულმა მოგუდვა დაიწყო. სასწრაფოდ რამე უნდა გამეკეთებინა. პალატაში საზამთრო შევიტანე, დავჭერი და ხმამაღლა გამოვაცხადე:

– საზამთრო, ქიმიით გამოწვეულ, გულის რევის შეგრძნებას ხსნის.

საზამთრი დავჭერი. პალატაში გრილი სურნელი დატრიალდა. მაგიდასთან სხვებიც შემოიკრიბნენ.

– მართლა ხსნის?

– აბა რა, – საქმეში ჩახედულივით დავუდასტურე. თან გავიფიქრე: «ღმერთმა იცის, ხსნის თუ არა».

პალატაში საზამთროს ხრაშუნის ხმა გაისმა.

– მართალი ყოფილა, გადამიარა, – თქვა ქალბატონმა, რომელიც ფანჯარასთან იწვა და ყავარჯნით დადიოდა.

– მეც... მეც... – სიხარულით დაუდასტურეს სხვებმაც.

– ხედავთ, – კმაყოფილმა დავიქნიე თავი. — ერთი შემთხვევა მქონდა... ამის შესახებ ანეგდოტი იცით?

ღამის 2 საათზე პალატაში აღშფოთებული ექთანი შემოვიდა:

– ხარხარს როდის მორჩებით? თქვენს გამო, ამ სართულზე არავის სძინავს!

სამი დღის შემდეგ, ექიმმა გაუბედავად მკითხა:

– არ შეგიძლიათ, რომ სხვა პალატაში გადახვიდეთ?

– რატომ?

– ამ პალატაში ყველას გაუუმჯობესდა მდგომარეობა. მეზობელ პალატაში კი ბევრი მძიმე პაციენტია.

– არა! — დაიყვირეს მეზობლებმა. — არ გავუშვებთ!

არ გამიშვეს...

ჩვენს პალატაში კი სხვა პალატიდან დაიწყეს პაციენტებმა შემოსვლა. ისე, უბრალოდ, სალაპარაკოდ, გასართობად. და მე მივხვდი რატომ — უბრალოდ, ჩვენს პალატაში სიყვარული ცხოვრობდა. ის ყველას ეხვეოდა ოქროსფერი ტალღებით და ყველა თავს მშვიდად და მყუდროდ გრძნობდა.

მე ვკითხულობდი წიგნებს, ვწერდი ლექსებს, ვიყურებოდი ფანჯარაში, ვესაუბრებოდი მეზობლებს, ვსეირნობდი დერეფანში და მიყვარდა ყველაფერი, რაც თვალში მომხვდებოდა: წიგნი, კომპოტი, მანქანა ეზოში, ხე... ვიტამინებს მიკეთებდნენ. რაღაც ხომ უნდა გაეკეთებინათ. სამი კვირის შემდეგ, ექიმმა მითხრა, რომ ჰემოგლობინი ნორმაში მქონდა:

– თქვენ სრულიად გამოჯანმრთელდით, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის კურსი არ გაგივლიათ. ეს კი შეუძლებელია.

– ვერ მეტყვით, რა დიაგნოზი მაქვს?

– ეგ ჯერ არ მომიფიქრებია, – ღიმილით მიპასუხა მან და წავიდა.

როდესაც გამწერეს, ექიმმა აღიარა:

– ძალიან ვწუხვარ, რომ მიდიხართ, ჩვენ კიდევ ბევრი მძიმე ავადმყოფი გვყავს.

ჩვენი პალატიდან ყველა გამოწერეს. მთლიანად განყოფილებაში — სიკვდილიანობა 30 % შემცირდა.

ცხოვრება გრძელდება. მხოლოდ შეხედულება და დამოკიდებულება შეიცვალა მისადმი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ სამყაროს ზემოდან დავყურებ და ამიტომ, მოვლენების მასშტაბურობაც შეიცვალა ჩემთვის. ხოლო ცხოვრების არსი მარტივი და ხელმისაწვდომი გახდა, რომლის ჩამოყალიბება ასე შეიძლება:

უბრალოდ, სიყვარული უნდა ისწავლოთ და მაშინ, თქვენი შესაძლებლობები განუსაზღვრელი გახდება, ყველა სურვილი შეგიუსრულდებათ, თუ ამ სურვილის სიყვარულით ფორმულირებას შეძლებთ. თუ არავის მოატყუებთ, არავისი შეგშურდებათ, თუ არავის აწყენინებთ და ბოროტებას არ უსურვებთ.

ხომ მართალია, რომ ღმერთი არის სიყვარული. საჭიროა მხოლოდ მოასწრო და ეს გაიხსენო...

# სიახლეების გაგება, დანერგვა და გამოცდილების გაზიარება, ესაა სოფლის მეურნის წარმატების გასაღები...

(მეხუთე გვერდიდან)

„დამსამარებელი" მასთან თუ გავიარე რაღაც საკითხი და მითხრა რომ კარგიაო (რაც ძალიან ხშირი არ არის) ის საქმე გამოდის ყოველთვის, ან პირველივე თქმაზე მიწასთან გაასწორებს ჩემს იდეას, გავა რამდენიმე დღე და ისე კარგად დამარიგებს ხოლმე, რომ ყველა რისკი ადვილად დაიძლევა. ანუ სოფლის მეურნოება არ არის ტექნოლოგიების, პროგრამირების და ასე შემდეგ, ბიზნესი, გამოცდილებას, ლოგიკას, ხშირად უსულო ან უმეტყველო არსების, თუ ნივთის ხასიათების ცოდნას მოაქვს. დანარჩენი კი სიახლეებს უნდა მივანდოთ, ანუ სიახლეების გაგება, დანერგვა და გამოცდილების გაზიარება, ესაა გასაღები წარმატებული საქმიანობისა.

**-საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციას და აქტიური ხელმძღვანელი როგორიც შენ ხარ, ალბათ არ ჰყოლია, არც ვიცი, იყო კი მანამდე ეს ასოციაცია? ხშირად იბრძვით მეცხვარეების ინტერესებისთვის ტელეეკრანების საშუალებითაც, რა პრობლემაა რეალურად ამ სფეროში და ამ ეტაპზე რომელ ფრონტზე იბრძვით მანდ, უცხოეთში ვიზიტისას, რა საკითხებია აქტუალური ევროპულ მეცხვარეობაში და რა ეტაპზეა ჩვენი მეცხვარეობა მათ ფონზე?**

-ზოგადად ევროპელ და ჩვენს მეცხვარეს ბევრი საერთო პრობლემა აქვთ, მაგალითად, სამუშაო ძალის სიმწირე, უმეტესობას ქალაქში წასვლა უნდა, მაღალ ანაზღაურებად სამსახურში მოწყობა, ვერც გაამტყუნებ ვინმეს. არის ასევე ლოკალური პრობლემები, რაც ასევე უამრავია: არასწორი საკანონმდებლო ბაზა, ცოდნის დონე, ბაზრებზე შეღწევადობა, მაღალი თვითღირებულება, საბანკო პროცენტები და სხვა. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ, მთავარი, რაც არის, ის გახლავთ, რამდენიც არ უნდა ვიყვიროთ, მე არ ვფიქრობ, ყველა პრობლემა ერთ დღეში მოგვარდება, მაგრამ თუ საერთოდ არ ვიყვირებთ, არც არასდროს მოგვარდება, ხოლო თუ ერთი კაცი იყვირებს, მოგვარდება, მაგრამ გვიან. ეს მინდა, რომ ყველა ჩემს წევრს, თუ არაწევრს ესმოდეს და ძალების გაერთიანება, კოოპერაცია აუცილებელია, იქ, სადაც მარტოობა ძნელია.

ჩვენი ასოციაცია 2010 წელს დაფუძნდა, მისი დაარსების დღიდან მე ვარ თავმჯდომარე, სურვილიც მქონდა, რომ აღარ ვყოფილიყავი, დაახლოებით 10 თვე არც იყო ვინმე არჩეული, მაგრამ დავბრუნდი ისევ, რადგან მიტოვება არ გამოდის იმის, რასაც წლები, დრო და ფინანსები შეალიე, რომ უბრალოდ რაღაც სხვანარიად ყოფილიყო. საბედნიეროდ ახლა სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეულები გაცილებით გახსნილები არიან და მოწადინებულები, სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდეს, ვნახოთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ხმაური ყოველთვის საჭიროა, მაგრამ ასევე ხმამაღალი შეძახილებით უნდა დააფასო ის, რაც გაკეთდა, და ამასაც, ალბათ ხედავთ ხოლმე ჩემი სოციალური აქტიურობებიდან.

**-რა თქმა უნდა, ვხედავთ, თქვენი აქტიურობა შეუმჩნეველი როგორ შეიძლება დარჩეს და ეს მხოლოდ მოსაწონია... ზოგადად, ძალიან მაინტერესებს შენი, როგორც ფერმერის ვიზიტები სხვადასხვა ქვეყნებში, ბოლოს კიდევ გერმანიაშიც გიხილეთ, რა შეხვედრები იყო იქ, რა სიახლეები ჩამოგაქვთ, ის გოლიათი ძროხა ერთხელ რომ ფეისბუქის გვერდზე გქონდათ გამოქვეყნებული, ალბათ ამ შეხვედრების და ცოდნის გადმოღების შედეგია, ხომ?**

-ასეთ გამოფენებზე სიარულით ბევრ სიახლეს ვეცნობი და ბევრ სიახლესაც ვნერგავ, მაგალითად, უკვე 3 წელია, ირლანდიიდან ჩამომაქვს ბიოლოგიური მასალა ძროხის განაყოფიერებისთვის, რომ ადგილობრივ ძროხებს პროდუქტიულობა მოემატოს გენეტიკაში, ასევე საკვების წარმოების კუთხით ფაქტიურად ასეთი ვიზიტებით ვსწავლობ, რადგან, იმედია, არავის ეწყინება და საქართველოში ამ სფეროს სპეციალისტი პრაქტიკულად არ არსებობს და სკოლაში ქიმია რომ არ მიყვარდა და არ ვსწავლობდი, ახლა ქიმიის სწავლაც მიწევს ფაქტიურად, რადგან რაციონებს მე თვითონ ვადგენ. რა თქმა უნდა, უცხოელ პარტნიორ-მეგობრების და ინტერნეტის დახმარებით, ამასწინათ პროგრამაც ვიყიდე სპეციალური, სადაც ფორმულებს ვანგარიშობ ხოლმე, თავიდან უფასო ვერსიით დავიწყე და ახლა ფასიანზე გადავედი უკვე.

კიდევ ახალი სიახლე გვაქვს, ბაქტერია, რომელიც ცხოვრობს ნახერხზე, მაგალითად ღორის ფერმაში არასხავთ ბეტონს ან ასფალტს, იღებთ მიწას დაახლოებით 70 სანტიმეტრზე, ყრით ნახერხს, უშვებთ ამ ბაქტერიას და ღორები ცხოვრობენ სამი წელი ყოველგვარი დახვეტის გარეშე, ფეკალიებს ჭამს ბაქტერია და მათით ცოცხლობს, არავითარი სუნი!!! და 3 წლის მერე ნახერხს შლით ნაკვეთში სასუქის სახით. ასევე ჩამოვიტანე სპეციალური საკვებურები და წყლის ჭურჭელი გოჭებისთვის, საკვებურებს აქაც ადვილად აწყობენ ახლა ფერმერები და ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ საღორეში ფერმერი შევიდეს კვირაში 2-3 ჯერ და არა დღეში 2-3 ჯერ დასახვეტად. ასეთ ტექნოლოგიებს სამწუხაროდ, მხოლოდ ასე „წანწალით" თუ გაეცნობი.

**-დამოკიდებულება მამისადმი, რამდენადაა ის თქვენი იდეალი, მკაცრი მამა იყო, რას ითხოვდა ის თქვენგან ბავშვობაში, რა პრინციპით გზრდიდათ იმისთვის, რომ ნამდვილ ქართველ ვაჟკაცად აღეზარდეთ?**

-მამაჩემზე ზემოთაც ვისაუბრე, აღზრდის მისეული მეთოდი ჩემთვის ალბათ იდეალურია, ერთადერთი "ნაკლი" ის იყო, რომ ხშირად არ ეცალა ჩვენთვის, არ მახსოვს 31 წლის მანძილზე მამაჩემი სახლში გადაბმულად 2 დღე დარჩენილიყო ისე, რომ საქმეზე არ ყოფილიყო გასული, ან მინდორში, როცა პარლამენტში იყო, ან თელავში როცა მუშაობდა, ყოველდღე მანქანით დადიოდა სამსახურში, საღამოს ბრუნდებოდა, დაახლოებით 5 წელი ასე მოძრაობდა ამ გზაზე... დღეში მინიმუმ 200 კილომეტრს. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ სახლშიც მოსული კიდევ არ ჩერდებოდა და სახლის საქმესაც აკეთებდა. ამიტომ, მამაჩემი იდეალია რა თქმა უნდა და მე ძალიან გამიმართლა, რომ ის ძალიან ახალგაზრდა და ენერგიულია ისევ. ჩემს პატარა ბაჩუკის მასზე ჭკუა ეკეტება, ხვდება, რომ დიდებული პაპის მოსახელეა და იმედია, ეცდება დაემსგავსოს.

**-მეუღლე და პატარა ბაჩუკი.... ბექა, რომელიც მუდამ საქმიანია და ბავშვს მამა სულ ენატრება, ამაზე გვესაუბრეთ ცოტა რამ მაინც.**

-ჩემი ცხოვრების პირველი სასწაული ნინოა, ადამიანი, რომელიც მუდამ გვერდში მიდგას, თუნდაც, მე როცა საზღვარგარეთ ვარ ის ჩემს საქმიანობას აქ სრულად აკონტროლებს, მეხმარება აღრიცხვიანობაში და რაც ყველაზე მთავარია, ყოველდღე სიცოცხლეს მილამაზებს. ბევრი არაა, ვინც თბილისიდან ასე ადვილად გადმოვა დედოფლისწყაროში საცხოვრებლად, მიატოვებს უამრავ მეგობარს, ოჯახის წევრებს და იქნება პერიფერიაში, სადაც არც თუ ისე ბევრი გასართობია, მაგრამ მისი კომუნიკაბელურობის გამო ახლა მას დედოფლისწყაროში ჩემზე მეტი ნათლული ჰყავს და შეიძლება ითქვას, არანაკლები სანაცნობო.

პატარა ბაჩუკი კი ორივესთვის გაათკეცებული ცხოვრების ძალაა, ოქროსფერი, რომელსაც დიდი ხანი ველოდით და თავისი მოვლინებით ამ ქვეყანაზე ყველა წარსული თუ მომავალი ნერვიულობაც წაშალა, თუმცა, ახლა უფრო მეტი საფიქრალი გვაქვს, როგორი კაცი გაიზრდება, როგორი ძმა იქნება სხვებისთვის, როგორი ბიძაშვილი იქნება, როგორი ქართველი იქნება და უბრალოდ, როგორი ადამიანი იქნება, აქაა ჩვენი ყველაზე დიდი გამოცდაც და ალბათ სიხარულიც, საამაყოდ თუ გვექნება საქმე!

**-როდესაც თოთო ბაჩუკის კომბალს აჭერინებთ ხელში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დარგის ბოლომდე ერთგული და თავდადებული კაცი ხართ, ეს ნიშნავს, რომ წარმატებულია შენი საქმე და სწორია ის არჩევანი, რასაც თქვენ აკეთებთ, არადა, მეცხვარეობაზე რთული პროფესია არ მგონია რამ.**

-პროფესიას ჩემს შვილებს მე არასდროს შევურჩევ, ასე გავიზარდე მეც და ვთვლი, რომ ასეთი ჩარევა არ უნდა მოხდეს, თუმცა, შეიძლება ისე, როგორც მე მასაც აგრარული სფერო დააინტერესოს, ამით ძალიან გახარებული ვიქნები, რა თქმა უნდა, მაგრამ იმით უფრო გახარებული ვიქნები, თუ იმას აირჩევს, რაც თავად ენდომება, იქნება კარგი მცოდნე და ამით ბედნიერი იქნება.

**-თქვენ და დღევანდელობა, თქვენ რით მოაგვარებდით ასეთ ჩიხში შესულ სიტუაციას, რაც საქართველოშია, როგორ ხედავთ ჩვენს მომავალს, აქვს პერსპექტივა სხვა ქვეყნების თვალში საქართველოს წინსვლისთვის.**

-რაც მიკეთებია, მომავლის და უკეთესის მიღწევისთვის შემიქმნია და იმისთვის არ მიწვალია, რომ ახლა იმედი გადავიწურო და სახლში დავჯდე. რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ „ივერია გაბრწყინდება" პირდაპირი მნიშვნელობით მე არ მჯერა, ამას შრომა სჭირდება, რწმენა სჭირდება, ერთამნეთის სიყვარული სჭირდება და არა მხოლოდ მოლოდინი, რომ ვიღაც მოვა და ყველაფერი კარგად იქნება. სწორედ მაშინ გვეშველება, როცა სათითაოდ კარგი და საჭირო საქმის კეთებას ვისწავლით, რომელიც საბოლოოდ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ადამიანები ერთმანეთის გვერდზე დავდგეთ, არ დავხარბდეთ და არც სხვისსა მივისაკუთროთ, მდიდარს არ აღვიქვავდეთ მტრად და მის შრომის უნარიანობას-მოხერხებულობას დავაფასებთ, ასევე ღარიბსაც მტრად და გონებაგანუვითარებლად არ აღვიქვამდეთ.

პანაცეა არ არსებობს ჩვენს სიტუაციაში, უბრალოდ დროა საჭირო, თაობათა ცვლაა საჭირო, იმ თაობის მოსვლაა საჭირო, რომელიც შრომას იქნება მიჩვეული, ღრეობებს ნაჩვევ წინა თაობას არ დაემსგავსება და საკუთარი ნაშრომის დაფასებას ისწავლის... მერე ის აღარ დახარჯავს ფულს ტოტალიზატორში, პოკერებში, მათ შორის მარიხუანაში და ასე შემდეგ, მაგრამ ამ ყველაფერს მინიმუმ კიდევ ორი თაობის შეცვლა დასჭირდება.

**-ძალიან ბევრი ქალაქელი დიასახლისი აქებს თქვენს მაღაზიათა ქსელს „ბექას ნობათს", როგორც ჩანს ქალაქს დაუდგა ნატურალური პროდუქტის კრიზისი, როგორ შეიქმნა ეს მაღაზიათა ქსელი, რომელიც საკმაოდ რთული საწარმოებელია (ეს ხომ არაა ის, რომ მომარაგების მანქანა კარს მოგადგეთ, აიღოთ პროდუქტი და ესევე გაყიდოთ) ის ხომ საკმაოდ რთული საკეთებელი საქმეა ერთობლიობაში, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს თქვენგან.**

-ჯერ ვერ დავარქმევ ამ ყველაფერს ქსელს და მითუმეტეს წარმატებულს, მაგრამ სურვილი არის რომ „ბექას ნობათში" იყიდებოდეს ძირითადად ის პროდუქცია, რომელსაც ჩვენი ფერმერები აწარმოებენ, საუბარი მაქვს როგორც "აგროქიზიყის" ბენეფიციარ ფერმერებზე, ისე იმ ადამიანებზე, ვინც საქართველოში რამეს აწარმეობს, ანუ ადგილობრივ წარმოებას მეტად ვგულშემატკივრობ. ეს რომ გამართულად იქნეს მიღწეული, როგორც თქვენ ბრძანეთ, ძალიან რთულია, მაგრამ სირთულეშია სწორედ ამ ცხოვრების ლაზათი, ასე რომ, პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და მალე კიდევ ბევრი სიახლე იქნება ამ კუთხით, მათ შორის ჩვენი სრულიად ახალი პროდუქტი, რომელსაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან ერთად ვახდენთ, სადაც ფერმერებს განვადებით საკვების შეძენასთან ერთად, შეუძლიათ ჩვენთან სამომავლო შესყიდვაზე გააფორმონ ხელშეკრულება, აზღვევს რისკებს და ანიჭებს მათ გარანტირებულ შემოსავალს.

**-ვიცოდი, რომ საკმაოდ საინტერესო საუბარი შედგებოდა ჩვენს შორის, ბექა, თუმცა, ამდენ ინფორმაციასაც თუ გავიგებდი, ნამდვილად არ ველოდი, საინტერესო იყო თქვენი მოსაზრება ყველა კუთხით, სიახლეების დანერგვის, ბიზნესის და მეურნეობის რაობის თქვენეული განმარტებით. ძალიან საინტერესო სფეროს უძღვებით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ჩვენს მხარეში ბევრი მიმბაძველი გყოლოდეთ, რადგან ჩვენს ქვეყანას სწორედ ბევრი თქვენნაირი ქართველი სჭირდება.**

ლალი მეხრიშვილი

მეუღლე მარიამი; შვილები: მაია, დათო; რძალი დოდო კაკალაშვილი, შვილიშვილები: მარიკა, ნიკა მაძღარაშვილები; ძმა, რძალი, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელბერდ მაძღარაშვილი

დაიკრძალა 2 თებერვალს 1 საათზე.

# ხუთასი მხატვრის ხუთასი ნამუშევარი



საქართველო უძველესი, მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი კულტურის მატარებელი ქვეყანაა, რაზეც მეტყველებს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული კულტურის ძეგლები და სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშები. XXI საუკუნის დასაწყისში კი ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში, 90-იან წლებში დაწყებულმა ყველა იმ პროცესმა, რომელსაც აქამდე ინდივიდუალური გამოვლინების ფორმა ჰქონდა, მასიური ხასიათი და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მიიღო. ქვეყნის კულტურულ პოლიტიკაში განსაზღვრული პრიორიტეტი — ქართული ხელოვნების დეკლარირება და მისი საერთაშორისო კულტურულ სივრცეში წარმოჩენა გახდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილი გამოფენა "ქართველი მხატვრები".

რუსთაველის პროსპექტზე, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა თავისი სივრცე მართლაც უნიკალურ გამოფენას სრულიად უანგაროდ დაუთმო. თანამედროვე მხატვართა, მოქანდაკეთა და დეკორატიული ხელოვნების მოღვაწეთა თითო ნამუშევარმა დაამშვენა მუზეუმის სამი უზარმაზარი დარბაზი. თანამედროვე 500 შემოქმედის ერთ საგამოფენო სივრცეში განთავსებული ნამუშევრები, მართლაც, უნიკალური მოვლენაა.

25 იანვარს გამოფენის გახსნას უამრავი ცნობილი ადამიანი დაესწრო. ხელოვანთა, ხელოვნების მოყვარულთა და დამფასებელ – შემფასებლებთან ერთად მრავლად იყვნენ რეგიონებიდან ჩამოსული ხელოვნების მოყვარულებიც. ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, მოზაიკა, კერამიკა, გობელინი, ხეზე და ლითონზე ნაკვეთი ხელოვნების ნიმუშები, ყველა თაობის ქართველ მხატვართა თითო ნამუშევარი მართლაც არნახულ საზეიმო, ამაღლებულ განწყობას ქმნიდა. ხუთას მხატვართა ნამუშევრებს შორის იყო ჩვენი ახალგაზრდა პროფესიონალი ნომინანტების ანა ხარაშვილის (გრაფიკული) და გიორგი კუხალაშვილის ფერწერული ტილო.

დამთვალიერებლების ყურადღებას იქცევდა დათო პოპიაშვილის ნახატი, რომლის ფესვებიც დედოფლისწყაროს უკავშირდება. იგი ნაადრევად გარდაცვლილი წარმატებული მხატვრის ავთანდილ პოპიაშვილის ვაჟია. ბატონი ავთანდილი წლების განმავლობაში მხატვართა კავშირის მდივანი გახლდათ და მრავალი გამოფენის მონაწილე როგორც ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც. აქვე იყო ხათუნა ბაბუხაძის ხალიჩა, რომლის პერსონალური გამოფენაც მოეწყო 2016 წლის 29 სექტემბერს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში და დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამოფენა საქრთველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით გაიხსნა და 20 თებერვლამდე გასტანს.

თუ დედაქალაქში მოხვდებით, რუსთავის გამზირზე, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე, მონახულეთ ზურაბ წერეთლის საგამოფენო დარბაზი, უაღრესად კმაყოფილი დარჩებით.

ნანა ჭიჭინაძე



# სამკურნალო მცენარეები

## დაფნა სახსრების სამკურნალოდ

დაფნის ფოთოლს უძველესი დროიდან იყენებენ ხალხურ მედიცინაში, რადგან მას, კულინარიულის გარდა, სამკურნალო დანიშნულებაც აქვს. დაფნის ფოთოლი მდიდარია ეთერზეთებით, რომელთა შორის განსაკუთრებული სამკურნალო მოქმედებით გამოირჩევა ევგენოლი, ცინეოლი და სხვა ტერპენული შენაერთები. სწორედ ეს შენაერთები განაპირობებენ მცენარის ანთების საწინააღმდეგო და ანტიმიკრობულ მოქმედებას. ხალხურ მედიცინაში დაფნის ფოთოლს წარმატებით იყენებენ რევმატიზმისა და სახსრების სხვადასხვა პათოლოგიის სამკურნალოდ.

გთავაზობთ სახსრების სამკურნალო მალამოს მომზადების წესს: აიღეთ 8-10 დაფნის ფოთოლო, კარგად გარეცხეთ, გაამშრალეთ და წვრილად დააქუცმაცეთ, შეურიეთ 100 გრამ უმარილო კარაქში. მიღებული მასა დღეში ორჯერ შეიზილეთ მტკივნეულ სახსრებზე.

## პიტნის ნაყენი მეხსიერებას აუმჯობესებს

მეხსიერების გაუმჯობესებისა და ტვინის ფუნქციათა გააქტიურებისთვის გირჩევთ მიირთვათ პიტნის ნაყენი (ჩაი). ამ საკითხზე საინტერესო დასკვნები წარმოაჩინეს ნორტუმბრიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ინგლისში გამართულ ფსიქოლოგთა კონფერენციაზე. მათ შეისწავლეს რამდენიმე მცენარის ნაყენის გავლენა ადამიანის მეხსირებასა და განწყობაზე. კვლევაში 180 მოხალისე მონაწილეობდა.

პირველ ეტაპზე მოხალისეები პასუხობდნენ

გარკვეულ შეკითხვებს თავიანთი განწყობილებისა და შეგრძნების შესაბამისად. მეორე ეტაპზე მათ სამ ჯგუფად ყოფდნენ. პირველ ჯგუფს თბილი წყლის დალევას სთავაზობდნენ, მეორეს და მესამეს კი – შესაბამისად გვირილასა და პიტნის ნაყენებს ასმევდნენ. ბოლო ეტაპზე კვლევაში მონაწილეებს უხდებოდათ განწყობის, მეხსიერებისა და ტვინის რამდენიმე კოგნიტიური ფუნქციის შესაფასებელი ტესტების შევსება.



აღმოჩნდა, რომ პიტნის ნაყენი მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა ტვინის ფუნქციობას და საგრძნობლად ამაღლებდა გუნება-განწყობას. გარდა ამისა, ამ ნაყენის დალევის შემდეგ მოხალისეებს უუმჯობესდებოდათ ყურადღება, ხანგრძლივი და მუშა მეხსიერება. მაშინ, როცა გვირილას ნაყენი მხოლოდ ამშვიდებდა მათ (ამას მოელოდნენ კიდეც მკვლევარები), ყურადღება და მეხსიერება კი რამდენადმე უქვეითდებოდათ კიდეც.

## ულოცავენ!

### მაიკო ლეკაშვილს!

გამარჯვების პროფესორ ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს ამავე სკოლის საქმის მწარმოებელ მაიკო ლეკაშვილს ნანატრი შვილის მარიას დაბადებას და უსურვებს ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

### ნანა დავითაშვილს!

გამარჯვების პროფესორ ა.პოპიაშვილის სახ. საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელ ნანა დავითაშვილს ნანატრი შვილიშვილის მარიას დაბადებას.


## იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში, ხუთსართულიან კორპუსში, ჰერეთის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის მაღლა), მეორე სართულზე იყიდება სამოთახიანი, ოთხ ოთახიანად გადაკეთებული, თბილი, ნათელი, კუთხის ბინა გადიდებული ლოჯიით, ორი აივნით, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული მაღალი დონის რემონტით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ბუხრით, გამოცვლილი კარ-ფანჯრით, ფანჯრებზე ჟალუზებით, აივნებზე გისოსებით და სამეურნეო სათავსოებით, აბაზანა და ტუალეტი ცალცალკე აღჭურვილი კაფელ-მეტლახით, შესასვლელში დამონტაჟებული კარადებით, კიბის ქვეშ სამეურნეო სათავსოთი, გაზით, წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. ფასი:18000

☎ 591 09 24 78.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 06.02 დღე | ორშაბათი 06.02 ღამე | სამშაბათი 07.02 დღე | სამშაბათი 07.02 ღამე | ოთხშაბათი 08.02 დღე | ოთხშაბათი 08.02 ღამე | ხუთშაბათი 09.02 დღე | ხუთშაბათი 09.02 ღამე | პარასკევი 10.02 დღე | პარასკევი 10.02 ღამე | შაბათი 11.02 დღე | შაბათი 11.02 ღამე | კვირა 12.02 დღე | კვირა 12.02 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 ° | 1 ° | 4 ° | 3 ° | 2° | -3° | -3 ° | -4 ° | -2 ° | -3 ° | -2 ° | -3 ° | -2 ° | -3 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.